

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი  
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების  
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

გიორგი საითიძე

სამუშაოს ჯარისკაცი

/ბენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი/

მეომრის ბიბლიოთეკა №3

თბილისი  
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ მესამე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიეძღვნება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწყვეტ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია: ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **ვაჟა კიკნაძე**

ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **თამაზ ბერაძე**

მეცნიერებათა ლოქტორი,  
ვიცე პოლკოვნიკი **თემურ დალაქიშვილი**

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა  
ლოქტორი, პროფესორი **თამაზ ბერაძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლელია ხურცია**  
ყდის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**  
ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის  
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83



გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი

1920 წლის ივნისში სრულიად საქართველოს ერთი ფრიად სამწუნარო ამბავი ეუწყა: რესპუბლიკის დეპეშათა სააგენტომ გაავრცელა ცნობა ბაქოში გენერალ აბელ მაყაშვილის დაღუპვის შესახებ. იგი ერთბაშად არავის დაუჯერებია. ფიქრობდნენ, – იქნებ სატელეგრაფო სააგენტოს შეცდომა იყოსო, მაგრამ სამწუნარო ამბავი სინამდვილე გამოდგა და საქართველოს ჟურნალ-გაზეთები სამგლოვიარო განცხადებებით აჭრელდა...

„გენერალ მაყაშვილის დახვრეტის ამბავი დეპეშათა სააგენტომ რომ გადმოგვცა გამართლდა. აზერბაიჯანის კომუნისტებს თავიანთი ხელი ამ პატიოსანი კაცის სისხლითაც შეუსვრიათ“, – წერდა გაზეთი „სახალხო საქმე“.

გაზეთი „ერთობა“\* ტრაგიკულად დაღუპული გენერლის ოჯახის სამგლოვიარო განცხადებას უთმობდა ადგილს: „შვილები: გაბრიელ აბელის ძე, ნიკოლოზ აბელის ძე და რძალი ირმა ალექსანდრეს ასული მაყაშვილები, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავიანთი მამის ტრაგიკულად სიკვდილს ქალაქ ბაქოში ბალშევიკების მიერ გენერალ აბელ (ბალო) გაბრიელის ძე მაყაშვილისას. პანაშვიდი საღამოს 6 საათზე, 29 თიბათვეს, სამხედრო სობოროში“.

იმავე დღეებში ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ თავის ფურცლებზე ათავსებდა გენერლის ფოტო-სურათს შემდეგი ტექსტის თანხლებით: „ბალო მაყაშვილი (გენერალი), ახალციხის გმირი, სახელოვანი სარდალი და მტკიცე მამულიშვილი, კომუნისტ-ბოლშევიკების მიერ ბაქოში დახვრეტილი 1920 წლის 14 ივნისს.“

აქვე მინდა პატარა განმარტება გავაკეთო: იმ ხანებში გამოქვეყნებული ყველა ცნობა გენერალ მაყაშვილის დახვრეტას იუწყებოდა, მის მკვლელებს კი უფრო საშინელი ფორმით აღუსრულებიათ თავიანთი განაჩენი... გენერალ შალვა მაღლაკელიძის თქმით, - „ჩვენი გენერალი მაყაშვილი, როდესაც გასაბჭოება მოხდა ბაქოში, შეიპყრეს, ხელფეხი შეუკრეს, კასპიის ზღვაში გადააგდეს და დაახრჩვეს. ასეთია მისი ხვედრი“.

ასე, რომ ამ ბარბაროსული განაჩენით სამარის გარეშე დარჩა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე...

ბოლო ხანებამდე ფართო საზოგადოებისათვის თითქმის არაფერი იყო ცნობილი ამ ღირსეული პიროვნების შესახებ. შევეცდებით მკითხველების ცნობისწადილი რამდენადმე მაინც დავაკმაყოფილოთ და ჩვენს მიერ მიკვლეული მასალების საფუძველზე გარკვეული წარმოდგენა შევუქმნათ ამ გულმხურვალე პატრიოტზე.

მაინც ვინ იყო გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი?

საქართველოს ისტორიაში არაერთხელაა მოხსენიებული მაყაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლების, როგორც მამულისათვის თავდადებულთა, ერთგულთა, მხნედ-შემართულთა, სიღარბაისლითა და პატიოსნებით განთქმულთა სახელი.

ძველ საქართველოში ისინი კახეთის ფეოდალთა წარჩინებულ შტოს ეკუთვნოდნენ. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით: „კახეთის ჩოლოყაშვილი და მაყაშვილი იტყვიან ირუფაქიძეობას“. ამას ეყრდნობა მწერალი გრ. რობაქიძე და

მხატვრულად ასახავს ამ ფაქტს თავის ცნობილ ნაწარმოებში, – „გველის პერანგი“.

მაყაშვილებმა თავისი მხედრული მამაცობით სახელი გაითქვეს რუსეთის არმიაში სამსახურის დროსაც. ამ საგვარეულო სახლის წარმომადგენლები იყვნენ გენერლები – დიმიტრი სოლომონის ძე მაყაშვილი (1837-1906 წ.წ.); ვლადიმერ ლავრენტის ძე მაყაშვილი (1839-1911 წ.წ.); ივანე რამაზის ძე მაყაშვილი (1848-1913 წ.წ.); ვლადიმერ გაბრიელის ძე მაყაშვილი (1853-1905 წ.წ.) იგი უფროსი ძმა იყო ბალო მაყაშვილისა, რომელიც რუსეთ-იაპონიის დროს გმირულად დაიღუპა მუკდენტან ბრძოლის დროს; სოლომონ ზაქარიას ძე მაყაშვილი (1855-1920 წ.წ.); ილია ზაქარიას ძე მაყაშვილი (1857-1916 წ.წ.); და გიორგი ლავრენტის ძე მაყაშვილი (1871-1946 წ.წ.); აღარას ვამბობთ უფრო დაბალი ჩინის (პოლკოვნიკები, მაიორები, კაპიტნები და ა. შ.) ათეულობით ოფიცრებზე, რომლებმაც დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი სახელები. ყველა მათგანის ძირები დაკავშირებული იყო თავიანთ საგვარეულო სოფელ იყალთოსთან და იქ განსვენებული სახელოვანი წინაპრების საფლავებთან. უხვად დაიდვარა მაყაშვილების სისხლი საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისათვის ბრძოლების დროსაც. ქართველმა საზოგადოებამ ბოლო წლებში განსაკუთრებით გაითავისა და გმირული შარავანდედით შემოსა ბოლშევიკ ოკუპანტებთან ბრძოლაში ტაბახმელა-კოჯრის მიდამოებში დაღუპული ქალიშვილის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის II კურსის სტუდენტის მარო მაყაშვილის სახელი, რომლის ძარღვებში არა მარტო პოეტი მამის კოტე მაყაშვილის\*, არამედ ახლო ნათესავის გენერალ ბალო მაყაშვილის სისხლიც ჩქეფდა... შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მაროს ფაქიზ, ქალწულებრივი კდემამოსილებით აღსავსე სულს, ჭაღარა გენერლების სიკვდილზე მეტად მისი მკვიდრი ბიძაშვილის, იუნკერ მიშა სოლომონის ძე მაყაშვილისა და ასევე ახალგაზრდა სამხედრო მფრინავის, მაიორ ნიკოლოზ ბალოს ძე მაყაშვილის ტრაგიკულმა აღსასრულმაც დააჩნია თავისი კვალი... ყველას კარგად მოგვეხსენება, ახალგაზრდობა გამოჩენილ ერისშვილთა სახელოვან ტრადიციებზე იზრდება და მითუმეტეს, მაშინ, თუ ეს ერისშვილები საკუთარი საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენლები არიან...

ისევ გენერალ ბალო მაყაშვილის ცხოვრების გზას მივუბრუნდეთ.

აბელ (ბალო) გაბრიელის ძე მაყაშვილი 1860 წელს დაიბადა სოფ. იყალთოში (თელავის მაზრა), ცნობილი თავადის ოჯახში. ისიც ახლობლების რჩევით უფროსი ძმის, ვლადიმერის კვალს გაჰყვა და თბილისის კადეტთა კორპუსში შევიდა. 17 წლის ასაკიდან მოყოლებული ბ. მაყაშვილი თავისი სიცოცხლის ბოლომდე ჯარისკაცის ცხოვრებით ცხოვრობდა. სამხედრო განათლების მიღების შემდეგ ახალგაზრდა ოფიცერი ჯერ ახალციხეში მღვარ თენგიზის პოლკში მსახურობს. შემდეგ კი ბაშ-კადიკლარის 185-ე და მეგრელთა მე-16 პოლკების მეთაურია. თავისი მხედრული ცხოვრების დიდი ნაწილი ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში გაატარა, თავი გამოიჩინა იაპონიასთან ომისას, ხოლო პირველი მსოფლიო ომის დროს თავის პოლკთან ერთად



მამაცურად იბრძოდა დასავლეთის ფრონტზე, მუდამ წინა ხაზზე მდგომს მეტსახელად „თხრილის გენერალი“ შეარქვეს. როგორც უშიშარი და გამჭრიახი გონების ოფიცრის თავდადება არაერთი უმაღლესი ჯილდოთია აღნიშნული. მაგალითად, 1915 წლის 28 ივნისის ხელმწიფე-იმპერატორის უმაღლეს ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის იგი ვლადიმირის IV ხარისხის ორდენით\* დაჯილდოვდა. მალე მას გენერალ-მაიორის წოდებას ანიჭებენ.

1918 წლის დასაწყისში, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ბალო მაცაშვილი ცოლ-შვილთან ერთად სამშობლოში ბრუნდება... აქ ნანა კოტეტიშვილის სიტყვები მინდა გავიხსენო. „სხვა უამრავ უბედურებასთან ერთად, რაც რუსეთის იმპერიამ თავს დაატეხა ქართველობას ერთ-ერთი ქართველების რუსეთის ჯარში სამსახური იყო. ბრწყინვალე თავადების ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდობა, ულამაზესი, უნიჭიერესი ვაჟაკები იქ სამსახურით იწყებდნენ და ამთავრებდნენ თავიანთ ცხოვრებას... საქართველო დამონებული იყო და აბა დაპყრობილ ქვეყანას ვინლა ჰკითხავდა რამეს... მათი გათქვეფაც მოინდომეს სლავურ ტომში გვარების დაბოლოების შეცვლით, მაგრამ ქართველების გარუსება ვერ მოახერხეს“.

სამშობლო მხარეს წლობით მოშორებულმა ოფიცერმა ბალო მაცაშვილმა შეძლო მშობლიური ენის, ქართული ტრადიციების, სულისა და ხასიათის შენარჩუნება და ამ სულისკვეთებით ზრდიდა იგი თავის შვილებსაც.

მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ როგორც ვთქვით თმაშვერცხლილი გენერალი სამშობლოსაკენ მოეშურება. სურს თავის ცოდნა და მდიდარი გამოცდილება საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასა და მის განმტკიცებას მოახმაროს... მაგრამ ერთია სურვილი და მეორე ამ სურვილის ხორცშესახსმელი ასპარეზის პოვნა... ამიერკავკასია, რომელიც უშუალოდ ფრონტისპირა მხარეს წარმოადგენდა, შფოთსა და ანარქიას მოეცვა. რუსეთის დროებითი მთავრობის ნებასურვილის აღმსრულებელი ორგანოები – ჯერ „ოზაკომი“\*, ხოლო შემდეგ ამიერ-კავკასიის კომისარიატი\* და სეიმი\* ოკეანეში დარჩენილი უკომპასო გემებივით არიან. უჭირს საქართველოს... მისი მტრები ყოველი მხრიდან მშიერი მგლებივით შემოჰყმუიან... განსაკუთრებით დაუოკებელ მადას იჩენს ოსმალეთი, რუსეთისა და მისი მოკავშირეების მოწინააღმდეგე და გერმანიის მხარდამხარ მებრძოლი... დიდ ომში დამარცხების მიუხედავად, იგი მაინც ცდილობს იმ გეგმის განხორციელებას, რომელიც მსოფლიო ომის დაწყების წინ ჰქონდა დასახული – სამუსლიმანო საქართველოს თავის ფარგლებში მოქცევას. ამ განზრახვის აქტიურ განმახორციელებლად გამოდიან ქართული წარმოშობის ფაშები, ბეგები თუ სასულიერო წოდების წარმომადგენლები – ენვერ ფაშა, სერვერ ბეგი, ომარ ფაიკი და სხვები და სხვები. სწორედ მათ სურდათ საქართველოსათვის მესხეთ-ჯავახეთისა და აჭარის ჩამოცილება და ბორჯომთან საზღვრის დადება. ამ მხარის მაჰმადიან მოსახლეობასაც ოსმალეთისაკენ ეჭირათ თვალი... როგორც იტყვიან, ხელის შემშლელი აღარავინ იყო, თუ არ ჩავთვლით „სამუსლიმანო საქართველოს“ სამხედრო და სმოქალაქო საქმეებში რუსეთის დროებითი მთავრობის საგანგებო

რწმუნებულს, ახალგაზრდა ოფიცერს შალვა მალლაკელიძეს\*, რომელსაც ასეთი დანიშვნა აკაკი ჩხენკელის მხარდაჭერით მიუღია (აკაკი ჩხენკელი, ამ დროს, „ოზაკომი“-ს წევრი იყო).

თურქოფილური მოძრაობის სათავეში მყოფ პიროვნებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სერვერ ბეგ ათაბეგოვ პრინც ქობლიანელს...

ვინ იყო იგი?

სერვერ ბეგი, წარმოშობით, ჯაყელთა საგვარეულო სახლს ეკუთვნოდა. მისი მამა ფეიზულა ახალციხის ფაშა იყო, რომლის გადმობირება რუსებმა შეძლეს და მისცეს ტიტული „პრინცი ქობლიანელი ადიგენელი“. ამის გამო იგი დიდ ერთგულებას იჩენდა რუსებისადმი... სერვერ ბეგი ერთ-ერთი უმდიდრესი მემამულე იყო ამ მხარეში: საკუთარი სახლებიც ჰქონდა ახალციხესა და აბასთუმანში. მას ემორჩილებოდა არტაანის ოლქის ქურთების ტომის ხალხიც... 40 ათასზე მეტ დესეტინა ტყის მასივებს ფლობდა, ჰქონდა თავისი ხელმძღვანელობით გაშენებული ბაღები, რომელსაც ყველაზე მეტად უფროსნილდებოდა... სერვერ ბეგი სიმდიდრესთან ერთად პიროვნული თვისებებითაც გამოირჩეოდა. მას უმაღლესი განათლება რამდენიმე ქვეყანაში ჰქონდა მიღებული: გერმანიაში – აგრონომიული, ხოლო რუსეთში, პეტერბურგის უნივერსიტეტიში – იურიდიული. თავისუფლად ფლობდა თურქულს, გერმანულს, რუსულს, ცოტათი ქართულსაც; გამოირჩეოდა კარგი მჭერმეტყველებით შეუდარებელი ნებისყოფით, მკვირცხლი და მოძრავი ხასიათით... თუმცა სპეციალური სამხედრო განათლება არ ჰქონდა, მაგრამ შესანიშნავად ერკვეოდა სამხედრო საქმეშიც... იყო დაახლოებით 30-32 წლისა... ჯერ კიდევ რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, 1917 წელს, ყარსის ოლქის რწმუნებული იყო... სერვერ ბეგმა მთელი მხარის სოფელ-ქალაქები მოიარა, მართავდა ხალხმრავალ კრებებსა და მიტინგებს, ოსმალეთის ერთგულებისაკენ მოუწოდებდა მოსახლეობას, მათ შორის მაჰმადიან ქართველებსაც; რაზმავდა და აიარალებდა ხალხს, შთააგონებდა მათ, რომ რუსეთი სამუდამოდ დაიშალა, რომლის ნანგრევებზე ყველა ერს უფლება ეძლევა, როგორც უნდა ისე იცხოვროს... ვინაიდან მუსლიმანები კავკასიაში 8 მილიონზე მეტი ვართ, უფროსებიც ჩვენ უნდა ვიყოთო და სხვა.

არანაკლები პოპულარობითა და ავტორიტეტით სარგებლობად მესხეთ-ჯავახეთის მუსლიმანურ მოსახლეობას შორის ცნობილი ომარ ფაიკი. ამიერკავკასიის კომისარიატის ყოფილი წევრი პეპინოვი და სხვები. აღსანიშნავია, რომ ომარ ფაიკ ეფენდი ნეიმას ზადე სოფ. აწყურის მკვიდრი – ომარ-ეფენდი ყიფიანი გახლდათ. მან ჯერ კიდევ 1901 წელს შეიძინა ადგილ-მამულები აწყურში და პანისლამიზმის ქადაგებას შეუდგა. როგორც მუსულმანურ მწერლობაში განსწავლულმა პირმა მრავალი ადგილობრივი ბეგის მიმხრობით შეძლო და ხალხიც დიდი გულმოდგინებით ისმენდა მის ქადაგებას. „ომარ ფაიკი ოცნებობდა ოსმალეთის ფარგლებში ავტონომიური სამაჰმადიანო საქართველოს სათავეში ჩადგომას..., ამ მხარეში ოსმალეთის გაბატონების შემდეგ ომარ ფაიკს უფროსობა არ უბოძეს და ამით უკმაყოფილო სტამბოლს წავიდა...“

1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკურმა გადატრიალებამ კიდევ უფრო დაძაბა ვითარება... ყარს-არტაანს მოცილებული სერვერ-ბეგი ახალციხესათან ახლოს ფოცხოვში ცხოვრობს და თავისი აგენტების მეშვეობით განაგრძობს მუშაობას...

ბრესტ-ლიტოვსკში (1918 წ. 3 მარტი) მოკავშირეებსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება მეტად საზიანო აღმოჩნდა საქართველოსათვის. ლენინისა და ათა-თურქის\* მეგობრობას შეეწირა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, რომელიც თურქეთის ხელში უნდა დაბრუნებულიყო ისევ...

ასეთ ვითარებაში ოფიციალური სამსახურის გარეშე დარჩენილი ბალო მაყაშვილი ბორჯომში ჩადის და როგორც უბრალო ჯარისკაცს, სურს, საქართველოსათვის რაიმე გააკეთოს. ახალციხეში იგი ხვდება შ. მალლაკელიძეს, რომელიც თავის მოგონებებში ასე აღწერს ამ ფაქტს: „მაყაშვილს მოჰყვა პოლკოვნიკი კობეშავიძე... მაყაშვილი ახალგაზრდა ოფიცერი რომ იყო, აქ მსახურობდა და მისი სიყვარული სამაჰმადიანო საქართველოსი გასაგებია. (მას გ. ს.) დაბადებია აზრი, რადგანაც ასეთი დრო დადგა, წავალ ახალციხეში და რამეში გამოვადგები საქართველოსო. ის თვლიდა, რომ ეს კუთხე თათრების კი არაა, როგორც გეგეჰკორი, ჟორდანიას და სხვები თვლიდნენ, არამედ მისი ქვეყანაა.

მოვიდნენ ჩემთან ახალციხეში ეს შესანიშნავი გარეგნობის ადამიანები... დამშვენებულნი ჭკუითაც, პატრიოტიზმითაც, სულითაც და გარეგნულადაც. მე ვუთხარი: ბატონო გენერალო, მე რა უნდა მოქცეთ-მეთქი. შვილო – მითხრა, მე მოვედი როგორც ჯარისკაცი და დაივიწყე გენერალი რომ ვარო. მომეცი ერთი ოცეულიო. მე ვუთხარი ბატონო გენერალო, თქვენ იყავით ჩემი უფროსი-თქო. როგორ გეკადრებათ, ეგ არ იქნებაო. ოფიცრების ერთი ოცეული თუ შედგება მომეციო და მივეცი მე ოცი ოფიცრისაგან შემდგარი ოცეული და ვის მერე? გენერალ მაყაშვილს, ცნობილ კაცს მთელ რუსეთის ჯარში. შემდეგ კიდევ მოემატა ოფიცრები, ასე ოცდაათამდის ავიდა, მაგრამ ოფიცერთა ასეული ეწოდებოდა. გენერალი მაყაშვილია უფროსი, კობეშავიძე ყავს თანაშემწედ.“

ეს ის დროა, როდესაც ხშირი იყო ოსმალეთის აგენტების მიერ ადგილობრივი სომეხი და ქართველი მოსახლეობის დარბევები, სისხლიანი შეტაკებები. არის როგორც ადამიანთა მსხვერპლი, ისე უდიდესი მატერიალური ზარალი. ერთ-ერთი შეტაკების დროს მძიმედ დაჭრეს გენერალ მაყაშვილის თანაშემწე, პოლკოვნიკი კობეშავიძე, რომელიც მალე გარდაიცვლება კიდევ... თავდამსხმელთა სათავეში დგანან – ომარ ფაიკი ეფენდი (ყიფიანი), მისი დისწული ახმედ მაჩაბელი, ამიერ-კავკასიის კომისარიატის ყოფილი წევრი პეპინოვი, სპარსული წარმოშობის პოლკოვნიკი კაჯარი და სხვები; მთავარი მომქმედი პირი სერვერ-ბეგ ათაბეგოვ-ქობლიანელია. შალვა მალლაკელიძის თქმით, მისი განსაკუთრებული გაღიზიანება და საქართველოსადმი სამკვდრო-სასიცოცხლო გადაკიდება მას შემდეგ მომხდარა, როცა ა/კავკასიის კომისარიატის განკარგულებით (თავმჯდომარე ევგენი გეგეჰკორი) მისთვის ადგილ-მამულები და სხვა ქონება ჩამოურთმევიათ ახალციხესა და აბასთუმანში



და ოსმალეთის აგენტად გამოუცხადებიათ. ყარსში წასვლის წინ მაღლაკელიძისათვის შემოუთვლია: „მივდივარ და იცოდეთ, არ დაგზოგავთ, არც ერთი ქართველის ფეხი არ იქნება ჩემს ბაღში“.

მაღე შალვა მაღლაკელიძე ქუთაისში გადაყავთ, მის მაგივრად ახალციხის მაზრის უფროსად გენერალ ბალო მაყაშვილს ნიშნავენ... ახლა მას უხდება ბრძოლა, როგორც სერვერ ბეგთან, ისე სხვა ძალებთან... დაშინებული მოსახლეობა, უმეტესად ქართველი და სომეხი ქრისტიანები, ტოვებენ თავიანთ სახლ-კარს და საქართველოს შიგა მაზრებსა და დაბა-ქალაქებისაკენ მიილტვიან...

ამიერ-კავკასიის კომისარიატის და სეიმის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წლის 26 მაისი), რაც თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური აგრესიის გააქტიურების შესაჩერებლად გერმანიის ჩარევით მოხდა, საქართველოს მთავრობას შესაძლებლობა მიეცა აქტიური მოქმედებები წამოეწყო ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველი კუთხეების – მესხეთ-ჯავახეთის მისახედად... შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებენ იქ თავმოყრილი საქართველოს სამხედრო ნაწილები გენერალ ბალო მაყაშვილის ხელმძღვანელობით.

1918 წლის ივლისში გაზეთი „სახალხო საქმე“\* წერდა: „გენერალი ბ. მაყაშვილი იყო იმ დივიზიის მეთაური, რომელსაც მიმდინარე წლის დასაწყისიდან მესხეთისა და მისი დედაქალაქის ახალციხის დაცვა დაევალა... 39-43 დღის განმავლობაში უდიდესი განსაცდელი გადაიტანა ახალციხემ, მაგრამ მცხოვრებლები მზად იყვნენ თავი შეეწირათ სამშობლოსათვის, ოღონდ კი არ ჩამოშორებოდნენ საყვარელ სამშობლოს, ვინაიდან კარგად ესმოდათ, რომ ახალციხის დაკარგვით მთელ საქართველოს მოუძნადებდნენ განსაცდელს...“

ოსმალეთი ოფიციალურად თითქოს განზე იდგა, მაგრამ ყველაფერი პანთურქულ წრეებში შემუშავებული გეგმით მიმდინარეობდა... თავისი ინტერესები ამოძრავებდა სერვერ ბეგსა და მის მომხრეებს... მას სურდა შეექმნა და შექმნა კიდევ ბუფერული მთავრობა თურქეთსა და საქართველოს შორის ტერიტორიაზე, რომელშიც შედიოდა ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები, შექმნა მთავრობა-კომისარიატი, სადაც პორტფელები ასე გაანაწილა: თავმჯდომარე – სერვერ ბეგ ათაბეგოვი; თავმჯდომარის მოადგილე და შინაგან საქმეთა კომისარი ტომაშევიჩი (დედით ქართველი); მთავარი მოსამართლე – მურთაზ ბეგ ფალავანდოვი; სურსათის კომისარი – კარტალოვი; ჯანმრთელობის კომისარი – რიუმინი; ქალაქ ახალციხის კომენდანტი – ახმეტიევი, ახალციხის დაცვის უფროსი – არუთინოვი, ჯარის ჩამოყალიბების საქმეში კონსულტანტი, პოლკოვნიკი – დოლინინი

როცა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო\* ხელშეკრულების ძალით ახალციხე თურქეთს მიაკუთვნეს. ა/კავკასიის კომისარიატი წინადადებას აძლევს გენერალ ბ. მაყაშვილს დატოვოს ახალციხის ტერიტორია... უკანასკნელი ვადა 26 მაისია (ძვ. სტილით). ჩვენი ჯარები უნდა გადავიდეს აწყურსა და ახალციხეში და აბასთუმანში. მაყაშვილი ცდილობს ოსმალეთის რეგულარული ჯარის მიერ ახალციხის დაკავება სამი-ოთხი დღით მაინც შეაჩეროს, რათა საშუალება

მიეცეს სახელმწიფო ქონების მთლიანად გაზიდვის, დრო ძალზე ცოტაა და გადასახიდი საშუალებებიც არასაკმარისი...

ასეთ ვითარებაში გენერალმა ბ. მაყაშვილმა თითქმის შეუძლებელი შეძლო და „მოახერხა შეიარაღებული გამოსულიყო ახალციხიდან... მას თან ახლავს ქართველები, ვისი წამოყვანაც კი შეძლო, აგრეთვე ოფიცრები. მოდის სამხედრო წესით, გაგებული აქვს რომ აწყურში ვალი\* ზის. ამიტომ მოდის სამხედრო წესით... მოაღწია აწყურს. უთხრეს შეჩერდიო, აქ თურქეთის გუბერნატორის – ვალის შტაბია... ეუბნებიან – აქ თურქეთის კუთვნილი ტერიტორიაა და ყველაფერი – ტერიტორია, იარაღი და ქონება ჩააბარეო. გამოვიდა ვალიც თავის შტაბიდან და მიმართა მაყაშვილს – მე ბრძანება მაქვს თურქეთის სარდლობის, რომ უნდა დავიკავო ეს ტერიტორია ბოჯომამდის და თქვენი იარაღის ჩაბარების უკანასკნელი ადგილი აქ არისო. თქვენ არღვევთ თქვენივე კომისარიატის დადგენილებასო, ამიტომ ვეღარ გაგიშვებთ და სისხლს ნუ დაგვადვრევენებთო. მაყაშვილმა უთხრა: მე იარაღს არ ჩაგაბარებთო... მოდით ყავა მივირთვათ და ვილაპარაკოთო – შესთავაზა ვალიმ. მაყაშვილი არ დაჯდა, ვალის ეგონა, რომ მაყაშვილი იარაღს ჩააბარებდა... ვალიმ მიაწოდა ყავა მაყაშვილს და უთხრა – ეს ბრძანება უნდა შეასრულოო. ამის თქმა იყო და, ეს ცნობილი ფაქტია, მაყაშვილმა შეთავაზებული ყავა სახეში შეასხა ვალის. ვალი გაშეშდა, ხმა ვერ ამოიღო და გამოუშვა მაყაშვილი ბორჯომში, იარაღით, უბრძოლველად“, – წერს შ. მალლაკელიძე.

გენერალი ბალო მაყაშვილის მიერ გამოჩენილი ასეთი სიმამაცე, არ შეიძლება უბრალოდ იმპულსურ ქმედებას მიეწეროს... არა! მასში ერთბაშად იფეთქა ქართულმა გენეტიკურმა ქედმოუხრელობამ და დიდი წინაპრის ნაანდერძევა: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“, რამაც მის ასეთ ქმედებაში ჰპოვა განივთება. ჭაღარა გენერლის გმირობის ამბავი მთელ საქართველოს მოედო და მას უდიდიდესი პოპულარობა მოუპოვა, განსაკუთრებით ამ მხარის მოსახლეობის თვალში.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ ახალციხიდან გამოყვანილ სამხედრო ნაწილებს სასაზღვრო ჯარების სტატუსი მიანიჭა და მისი სარდლობა ბალო მაყაშვილს მიანდო. უამრავი საქმეა მისახედი. წესრიგი და დისციპლინაა აღსადგენი. შექმნილი ვითარების გამო ადგილობრივი მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. განსაკუთრებულია ათასობით უსახლკაროდ და არსებობის სახსარს მოკლებული ახალციხიდან ლტოლვილი, მათ შორის სომხური მოსახლეობის, ბედი. ამის გამო მათ მიერ გამოთქმული უკმაყოფილება საქართველოს პარლამენტამდეც აღწევს...

1918 წლის 8 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გამოსული მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, იმის პასუხად, რომ თითქოს ადგილი ჰქონოდა მესხეთ-ჯავახეთიდან ლტოლვილი სომეხი მოსახლეობის შევიწროებას, აცხადებს: „უნდა ვთქვათ, რომ საზღვარზე მყოფი ჯარების უფროსად მთავრობამ დანიშნა გენერალი მაყაშვილი იმისათვის, რომ იგი ახალციხეში იყო უწინ და არ დაემსგავსა სომხების იმ ლენერლებს, რომელნიც ბაქოში ბრძოლის დროს ველიდან გამოიქცნენ და ხალხი ამოსაჟღერტად დატოვეს... როდესაც

ოსმალები ახალციხეში შემოდოდნენ, ღენერალი მაყაშვილი იქ იყო უკანასკნელ დრომდე და ოსმალთა შემოსვლამდე თავისი ადგილი არ მიუტოვებია. მისი მზრუნველობის მეშვეობით იქ არც ერთი სომეხი არ დაშავებულა, რასაც დაამტკიცებს ამ პარლამენტში მყოფი იქაური ქალაქის თავი ბ-ნი ზორიანი.

აი, ასეთი გენერალი გავგზავნეთ ჩვენ იქ და ეხლა მე მინდა გამეგო მისგან, იყო თუ არა მსგავსი რამ იმისა, რასაც ეს დელეგაცია მოგვითხრობდა.“

ამის პასუხად ბორჯომიდან გამოგზავნილ ვრცელ განმარტებაში, გენერალი მაყაშვილი მიუთითებს: „მხოლოდ დღეს ნოემბრის 12-ს. წავიკითხე გაზეთში იმ გამოსვლების შესახებ, რომელსაც რამოდენიმე პირი და ბეჭვდითი ორგანო ლტოლვილთა საკითხის გარშემო საქართველოს რესპუბლიკის და საქართველოს ჯარის უფროსთა წინააღმდეგ აწარმოებდა. ლტოლვილთა საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ოსმალეთის მიერ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ჩვენზე გადმოცემის საკითხთან. აზრად გვქონდა ჩაგვეყვანა იქ ჯარი, აღგვედგინა წესიერება და უზრუნველგვეყო ლტოლვილთა დაბრუნების უშიშროება და მხოლოდ ამის შემდეგ დაგვებრუნებია ლტოლვილნი. ყველა ჩემ დაბეჯითებით მოთხოვნაზე, რომ ჩვენი ჯარი გაეშვა ოსმალეთის სარდლებს, ისინი გვპასუხობდნენ: ამის შესახებ მთავარსარდლისაგან ბრძანება არა გვაქვსო და მხოლოდ ერთი კვირის უკან ოსმალეთის ჯარის უფროსმა მიიღო ეს ბრძანება, მაგრამ იქ არ იყო ნაჩვენები მაზრების გადმოცემის ვადა და რიგი. ვხედავდი რა, რომ პირობის ასრულებას ოსმალები აგვიანებდნენ, ლტოლვილების მდგომარეობა კი სიცივეების გამო უარესი შეიქმნა, მე დაბეჯითებით მოვითხოვე გაეშვათ ლტოლვილნი. ხალილ-ბეიმ\* თანხმობა განაცხადა მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბრუნების ნებართვა უნდა მისცეს ტფილისის ლტოლვილთა კომიტეტმა. მსურდა რა ამეცდინა ხიფათს ლტოლვილთა სიცოცხლე და ქონება, მე წერილობით შევეკითხე ხალილ-ბეის, იძლევა თუ არა ის ლტოლვილთა თავისუფალი დაბრუნების გარანტიას, რაზედაც მხოლოდ გუშინ საღამოთი მივიღე დადებითი პასუხი...“

ამნაირად, იმ ბრალდებას ვითომ საქართველოს რესპუბლიკას არ სურდეს ლტოლვილების უკან დაბრუნება, არავითარი საფუძველი არა აქვს. არამც თუ სწერენ ასეთ ბრალდებას, არამედ არიან ისეთი ქველმოქმედნიც, რომელნიც ლტოლვილებს აჩქარებენ დაუყოვნებლივ შინ დაბრუნებას, რასაც ლტოლვილთა დახვრეტა და ძარცვა მოსდევს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბარაღეთთან, სადაც მრავალი ლტოლვილი დახოცეს, ტყვედ წაიყვანეს და საქონელი წაართვეს. ოსმალებმა გზები შეკრეს და არავის უშვებენ, როგორც ჩვენსკენ, ისე იქით. მაშასადამე, ლტოლვილთა დაბრუნების ჩემ მიერ ნების დართვა, ან ამის აკრძალვა, რაც არასოდეს არ ყოფილა, საქმის მდგომარეობას არა სცვლიდა.

ვისთხოვ ყველა გაზეთებს გადაბეჭდონ ეს განმარტება, ხოლო ვისაც სურს ჩემს სიმართლეში დარწმუნდეს, პირადად მონახულოს ლტოლვილები ბორჯომში.

გენერალ-გუბერნატორი მაყაშვილი“.

გენერალ ბ. მაყაშვილის ზემოთ მოტანილი განმარტება მართლაც რომ ბევრისმთქმელი ისტორიული დოკუმენტია, რომელიც ნათელს ჰფენს იმას, თუ როგორ მოქმედებდნენ მესხეთ-ჯავახეთში მყოფი ოსმალეთის სამხედრო ხელისუფალნი; როგორ უშლიდნენ ისინი ხელს პოლიტიკური საშუალებებით საკითხის მოგვარებას, როგორ საშუალებებს მიმართავდნენ ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ქრისტიანების მიმართ და რაოდენ საშინელ პირობებში ამყოფებდნენ მათ... სწორედ მათი მითითებით იქნა იმ ხანებში მოწვეული იქაური საგანგებო კრება და რომელზეც მიღებული დადგენილებით მესხეთ-ჯავახეთის თურქეთისათვის მიერთება მოითხოვეს. დადგენილების პრაქტიკული ხორცშესხმისათვის 40 კაციანი დელეგაცია აირჩიეს და სხვადასხვა საზავო კონფერენციებზე დააგზავნეს. მუსლიმან ქართველთა დიდი უმრავლესობა მიიმხრეს და აჯანყების პროვოცირების გზით მთელი ეს მხარე ხელში ჩაივლეს...

აქ არ შეიძლება ორიოდ სიტყვით მაინც არ აღვნიშნოთ იმ საქმიანობის შესახებ, რაც „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა“ გასწია მემედ-ბეგ აბაშიძის ხელმძღვანელობით. სწორედ მაშინ, როცა მთელი სიმწვავეთ დადგა საკითხი, თუ რა ორიენტაცია დაეჭირა აქაურ ქართველ მაჰმადიანებს – ერთმორწმუნე ოსმალეთის, თუ მშობლიური საქართველოსი, რომელთანაც ისტორიით, ენით, სისხლით და ჯიშით იყვნენ დაკავშირებულნი, გაისმა მემედ-ბეგ აბაშიძის მოწოდება: „ურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება და ეროვნება ერთი და იგივეა. ჩვენ მტკიცე მუსლიმანები ვართ, მაგრამ მასთან ერთად, ჩვენ ქართველები ვართ, საქართველოს ღვიძლი შვილები. ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ გარდა საქართველოსი, ჩვენი ხსნა არ არის... გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ პასუხისმგებელნი ისტორიისა და შთამომავლობის წინაშე.“

მემედ-ბეგი\* მაჰმადიან ქართველებს შეახსენებდა, რომ ეს იქნებოდა უმაღურობა და სიკეთის დაუნახაობა ქრისტიანი ძმების, ქართველების მიმართ, როცა ისინი მათ გვერდში იდგნენ არაერთი განსაცდელის ჟამს, როცა რუსეთის და ოსმალეთის მთავრობებისაგან შევიწროებულთ წინ ქვა და უკან მეწყერი ელოდათ... დაე, „რაკი გწადიათ უცხოთა უღელი, დაიდგით ეს უღელი... რაკი გადამთიელთა მონობა გსურთ იყავით მონებათ“-ო, – მიმართავდა იგი სერვერ ბეგებისა და ომარ ფაიკების მიმდევრებს...

1918 წლის 3 დეკემბერს საქართველოსა და ოსმალეთს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით ოსმალეთის ჯარებმა დატოვეს ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები... ამ ფაქტის შემსწრე ვინმე „ქ. კ. მ-ლი“ გაზეთ „სახალხო საქმეში“ წერდა: „წუხელის ოსმალებმა, უკეთ რომ ვსთქვათ, მაჰმადიანთა ჯარის კაცებმა, სერვერ-ბეგ ქობლიანსკის მეთაურობით ცეცხლი წაუკიდეს თოფ-იარაღს და სახელმწიფო ნივთებს. ცეცხლმა ორ საათს გასტანა. ზარბაზნის ყუმბარები ყუთებით, ალბათ ვერ მოასწრეს გატანა და მდინარეში გადაუყრიათ. დღეს ეს ყუთები წყალში მოსჩანს... დილით აჭარისაკენ გაიპარა სერვერ-ბეგი, მასვე მიჰყვა ადიგენისაკენ ბახში-ბეგ მაჩაბელი“.

იმავე დღეს, 12 საათზე, ახალციხიდან ავტომობილით გამგზავრებულია ხალილ-ბეი. წასვლის წინ მას თათრულ ენაზე მიუმართავს ხალხისათვის:

„დადგა დრო და საქართველოსა და ოსმალეთ შორის ჩამოვარდა მშვიდობიანობა. ჩვენ მივდივართ და მოდის საქართველოს მთავრობა. საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ უნდა მოგიაროთ ისე, როგორც ჩვენ გივლით. თუ ასე არ იქნება, ოსმალეთი ცოცხალია და ისევ გამოგესარჩლებით და აქ გეწვევითო...“

გამგზავრების წინ ხალილ-ბეისათვის მადლობა გადაუხდია ახალციხის ქალაქის თავის მოადგილეს აივანთან, რომელსაც, კორესპონდენტის თქმით, სხვათაშორის უთქვამს: „სადაც წახვიდეთ, ყველგან გზა ხსნილი იყოს თქვენთვისო.“

დემოკრატიული საქართველოს მთავრობამ დაცლილი მაზრების დაკავება და იქ წესრიგის დამყარება გენერალ ბალო მაყაშვილს დაავალა. როდესაც საქართველოს ჯარებმა ასეთი დავალება მიიღეს, გენერალ-გუბერნატორმა ბ. მაყაშვილმა პირველი, რაც მთავრობას სთხოვა ის იყო, რომ უფლება მიეცა მისთვის, იარაღი აეყარა მთელი მოსახლეობისათვის, განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა და ბნელი ძალებისაგან გაეწმინდა ეს მხარე. მთავრობისაგან ნებართვის (დასტურის) მიღების შემდეგ საქართველოს ჯარები მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიის დასაკავებლად გაეშურნენ. 4 დეკემბერს საქართველოს სამხედრო სამინისტროს სახელზე მიღებულ ტელეგრამაში ნათქვამი იყო: „ღენერალ მაყაშვილის ნაწილი უკვე შევიდა ახალციხესა და ახალქალაქის მაზრებში. მოწინავე რაზმები ახალციხესა და ახალქალაქს მიუახლოვდნენ. მოსახლეობა დიდი აღტაცებითა და სიხარულით ეგებება.“

თუ როგორი იყო მესხეთ-ჯავახეთში გენერალ ბალო მაყაშვილის სარდლობით შესული ჯარებთან შეხვედრა, ადგილობრივი განაწამები მოსახლეობის „აღტაცება და სიხარული“ ამის თაობაზე ამ მომენტის შემსწრესა და მონაწილე ჯარისკაცს, შემდგომში გამოჩენილ მწერალ-აკადემიკოს ნიკო კეცხოველს მოვუსმინოთ: „თეთრი გიორგის მხედრობამ იარაღი შეაჟღარუნა და პირმცინარ მზის სხივებზე ნაფერი ხმალი შეაპრიალა. გულში აინთო სამშობლოს სიყვარულის ძლიერი ცეცხლი და ამ სიყვარულით მოადგა ქართველი მხედრობა ახალციხის კარებს. წინ მიუძღოდათ ნაცადი ჭაღარა სარდალი. მისი იმედით აღსავსე თვალები ამხნევებდა პირტიტველა მხედრობას... სანახაობა იყო იშვიათი. სამი ათასზე მეტი ახალგაზრდა ქართველი შეიარაღებული თავით-ფეხებამდე მიდიოდა საყვარელ კუთხის დასახსნელად... ვუცქერ ჯარს და ვერ გამოვრკვეულვარ, ნუთუ ეს ქართული ჯარია, ნუთუ ყოველივე ეს ქართველი ხალხის შემოქმედებაა? ბავშვივით ამიტანა სიხარულმა... მინდა ყოველივე დავინახო, არაფერი გამომრჩეს... ხუთი ვერსი დარჩა ახალციხემდე... ხალხი ჯერ კანტი-კუნტად სჩანს, თანდათან მატულობს და მალე კედელი კეთდება გზის აქეთ-იქით... სიცილი, სიხარული, აცრემლებული თვალები... „ქრისტე აღზდგა, ქრისტე აღზდგა...“. ვილაც მოხუცებული გადაეხვია ახალგაზრდას და ტირილი დაიწყო. ჟრუანტელმა დამიარა... შევდექი: „რა იყო ბიძია, გიხარიან?“. „რალას მეკითხები, თქვენს მზეს კი შემოვევლე, შვილო. დღეს მეორედ დავიბადე. დღეს გათენდა ჩემთვის ნათელი დღე. დიდება თქვენს მოსვლას, მშვიდობა ქართველებო!“

აგერ ქალი და ბავშვი, ვაჟკაცი და მოხუცი. ეტყობა სოფლები არიან... მათკენ მივეშურები, ვეკითხები: „უდლები ვართ, ბიძია, უდლები... გავიგეთ, შემოგეგებეთ, ძვირფასო ძმებო...“. ბევრს ცრემლი ადგება, გული უჩუყდება, ტირილი მოსდით, ლაპარაკს ვერ ახერხებენ...

„დიდება შენ, ძვირფასო საქართველო!“

„აკი ვთქვი, ქართველი ხალხი არ დაგვივიწყებს მეთქი“.

„ღმერთო ჰფარავდე ჩვენს სამშობლოს“.

„იხარე ტკბილო საქართველო...“, ისმის ირგვლივ. ჯარი კი ღიმმორეული და ამაყი მიდის ამ ხალხის ორ კედელშუა.

აგერ ქალაქს მივუახლოვდით და გამოჩნდა ზღვა ხალხი ქართული დროშებით, რომლებზეც ასეთი სიტყვებია წარწერილი: „მაღლიერი მესხეთ-ჯავახეთი სალამს უძღვნის ძვირფას საქართველოს ჯარს. 1918 წლის ქრისტეშობის 4.“ თავის მომდევნო ნომერში დასტამბულ წერილში „ახალქალაქის საკითხისათვის“ გაზეთი „საქართველო“\* აღნიშნავს რა საქართველოს ჯარების შესვლას მესხეთ-ჯავახეთში, მიუთითებს: „რესპუბლიკის ჯარები შევიდნენ ახალციხე-ახალქალაქში და შემოუერთეს საქართველოს მისი უმართებულოდ მიხვეჭილი ნაწილები. ქართველი ერი დღესასწაულობს ამ სასიხარულო მოვლენას...“ მაგრამ ქართველთათვის ეს სასიხარულო მოვლენა მიუღებლად მიუჩნევია სომხურ – დაშნაკურ პრესას და პრეტენზია გამოუთქვამს ახალქალაქის მაზრაზე. მაგალითად, თბილისში გამოძავალი სომხური გაზეთი „ახმატავორი“ თავის 22-ე მეთაურ წერილში ამასთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალ-დემოკრატების მამულიშვილური სიხარული უნდა შეეხებოდეს მხოლოდ ახალციხეს, ხოლო ახალქალაქის ქართველი ჯარის მიერ „აღების“ საკითხი ქართველი მენშევიკებისათვის უკეთეს შემთხვევაში ღია, გადაუჭრელ საკითხად უნდა დარჩეს..., ვინაიდან ახალქალაქის შესახებ გაცილებით უფრო საფუძვლიანი პრეტენზიები აქვს სომხეთსაც“. ამავე აზრს იზიარებდა მეორე სომხური გაზეთი „ნორ ჰორიზონიც“, რომელიც „ახალქალაქს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ უსამართლოდ მისაკუთრებულად მიიჩნევდა“.

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, თუ რა მდგომარეობაში დახვდათ ქართულ ჯარებს წინა დღით თურქი ასკერების მიერ მიტოვებული ახალქალაქი, რომელიც მაჰმადიანი ქართველი ბეგებისა და უმაღური სომხური მოსახლეობის მსხვერპლად ქცეულიყო. მოვუსმინოთ ისევ ნიკო კეცხოველს: „მივაღწიეთ ყაზარმებს. შენობების ფანჯრები განადგურებულია, ავეჯეულობა დაღეწილი და ქუჩებში ჰყრია... ძვირფასი წიგნები და სხვა ნივთები ერთმანეთშია არეული... გულმოსულ ბრბოს, რომელიც წუხელ წასულა, შუშებზე და ავეჯეულობაზე უყრია ჯავრი: თოფები დაუწვავთ, ყუმბარები წყალში გადაუყრიათ... მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ არა გზით არ შეეშვათ ამ მაზრაში ქართული ლაშქარი... მაგრამ სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით იძულებულნი გამხდარან იქაურობას „მშვიდობიანად“ გასცლოდნენ... ქალაქიდან გამოსულ მე და ჩემს მეგობარს, ეროვნული დროშით მორთული ავტომობილი შეგვხვდა. ეს გენერალი მაყაშვილი მობრძანდება“.



ეროვნული სიამაყის გრძნობით აღვსილი გენერალი, გზადაგზა პროფესიონალური თავშეკავებით უდეპეშებს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს არსებული ვითარების შესახებ. მოვიტანოთ 5 დეკემბრის დეპეშა საქართველოს სამხედრო მინისტრს: „დილის 10 საათზე ახალქალაქში შეველით. მცხოვრებნი სინარულით შეგვხვდნენ და პურმარილი მოგვართვეს. ირგვლივ ძარცვა-გლეჯა წარმოებდა. მიღებულია უკიდურესი ზომები. გაგზავნილია წინ ჯარი, მცხოვრებთ გამოეცხადათ, რომ დაბრუნდნენ თავიანთ ადგილას. ოფიცერთა შენობა დანგრეულია ოსმალების მიერ. ჯარის სულიერი განწყობა მხნეა. გენერალ-მაიორი მაყაშვილი“.

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სახელზე გაგზავნილ დეპეშაში კი გენერალი ბალო მაყაშვილი მიუთითებდა: „ძველი საქართველოს ცენტრიდან თქვენ და მთელ საქართველოს გილოცავთ მესხეთისა და ჯავახეთის სისხლის დაუღვრელად შემოერთებას, რაც მოხერხდა საქართველოს მთავრობის სიბრძნითა და კაცთმოყვარეობით. მთელ გზაზე ახალციხემდე მცხოვრებნი აღფრთოვანებით ესალმებოდნენ ჯარს.

გისურვებთ სიცოცხლესა და გამარჯვებებს მრავალჟამიერ.

გენერალი მაყაშვილი“.

გამოცდილმა და მრავალჭირგამოვლილმა გენერალმა იმთავითვე კარგად იცოდა, რომ საქართველოს ტერიტორიებს, სისხლით იქნებოდა იგი შემოერთებული, თუ „სისხლის დაუღვრელად“ დაცვა სჭირდებოდა, რისთვისაც აუცილებელი იყო მტკიცე, ზოგჯერ უკიდურესი ღონისძიებების გატარებაც კი. აკი ამას მოითხოვდა იგი იმთავითვე საქართველოს მთავრობისაგან... დაპირებაც მიიღო, მაგრამ იმავე ხელისუფლებამ პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობა მინიმუმამდე შეუმცირა. საქმე იმაში იყო, რომ „დემოკრატიულმა მთავრობამ“ არასწორი კურსი აიღო, როცა სამხედრო უწყებას უფლებები შეუკვეცა და პრიორიტეტი თავისი პარტიის – სოციალ-დემოკრატების, უმწიფარ წარმომადგენლებს მიანიჭა... ქართული ჯარის მიერ მესხეთ-ჯავახეთის დაკავებიდან სულ ორიოდე დღის შემდეგ მთავრობამ მხარეში თავის საგანგებო რწმუნებულად, თითქმის განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი პარტიული ფუნქციონერი ლეო რუხაძე დანიშნა, ხოლო ახალციხის მაზრის კომისრობა მის თანაპარტიელს ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეს მიანდო. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის დანიშვნას, სომხების გარდა, ყველა კმაყოფილებით შეხვდა. ფიქრობდნენ, რომ როგორც ქართველი მუსლიმანი, უფრო მეტად გაირჯება მაზრის საკეთილდღეოდ. ეს არ მოხდა... იმის ნაცვლად, რომ ისინი სამხედრო ძალაზე დაყრდნობით ადმინისტრაციული ორგანოების შექმნას შესდგომოდნენ და მოსახლეობის საჭირობოროტო საკითხების მოგვარებისათვის ეზრუნათ, წინა პლანზე პარტიული საქმეები წამოსწიეს, უჯრედების შექმნას, კრებების ჩატარებას და ა. შ. უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ... ხშირად არასწორ ცნობებს აწვდიდნენ მთავრობას ადგილზე არსებული ვითარების შესახებ. მათ თავიანთი „ტლანქი და მოურიდებელი ქცევით – როგორც გენერალი მაყაშვილი გენერალ მაზნიაშვილთან საუბარში აღნიშნავდა – ადგილობრივი ადათებისა და

ჩვეულებების შელახვით, ისე გააბოროტეს ეს უკანასკნელნი, რომ მზად არიან მიეკედლონ ყველას, ვინც კი მათ ამ „მხეცებისაგან დაიფარავს... სერვერ-ბეგი კი ამით სარგებლობს თავისი მიზნების განსახორციელებლად“, – წერდა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი\*.

გენერალ მაყაშვილს, არც ის დაუფარავს გიორგი მაზნიაშვილისათვის, რომ „თუმცა ის ირიცხება გენერალ-გუბერნატორად ე. ი. აღჭურვილია უმაღლესი ადმინისტრატორ უფლებით, საქმით მაინც არავითარი უფლება არა აქვს და კომისრები და მათი მოხელენი მოქმედებენ განსაკუთრებული ინსტრუქციებით, რომლებიც ტფილისიდან მოსდით და, რომელთა შინაარსი მან არ იცის.“

ცოტა მოგვიანებით, გაზეთ „სახალხო საქმეში“ დასტამბულ კორესპონდენციაში ვინმე „ნაღვლიანი მესხი“ გულისტკივილით აღნიშნავდა: „საქართველოს ჯარების შემოსვლის შემდეგ ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში დაარსდა საგენერალ-გუბერნატორო, მაგრამ არ გავიდა ორი კვირა და ეს თანამდებობა მოისპო... არ ვიცით ვინ და რა მოსაზრებით მოასპობინა, ასეთი თანამდებობა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მოსპობის შემდეგ გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის ძალაუფლება ახალციხის მაზრაში გადავიდა მაზრის კომისრის ჰაიდარ აბაშიძის ხელში...“ მაგრამ სამწუხაროდ მა თავი ვერ გაურთმევია შექმნილ სიტუაციათვის. იმავე კორესპონდენტის თქმით: „გვეგონა, რომ ჰაიდარ აბაშიძე\*, როგორც მაზრის კომისარი, მთელ მაზრის სოფლებს შემოივლიდა, გაეცნობოდა მას და საქართველოს მდგომარეობასაც გაეცნობოდა, ხელს შეუწყობდა მაჰმადიანი ქართველი გლეხობის ქრისტიან გლეხობასთან და ქალაქის მაცხოვრებლებთან კავშირს“, მაგრამ ასეთი რამ არ მოხდა იმიტომ, რომ „ჰაიდარ აბაშიძემ თავისი კაბინეტის მეტი არა იცის-რა, რომლის კარებზეც უწერია: „მთხოვნელებს ვიღებ 12 საათიდან 2 საათამდეო“. იგი მხოლოდ ორ საათს უთმობს მაზრისათვის საქმიანობას, დანარჩენს კი პარტიულ მუშაობაში და სოციალ-დემოკრატების ბიუროში ატარებს“-ო.

იქვე, მხარის საგანგებო რწმუნებულის, ლეო რუხაძის „დამსახურებაზეცაა“ მითითებული: „მთავრობის დავალება ვერ შეასრულა მხარეში მისმა რწმუნებულმა ლ. რუხაძემაც. უბრალო ფოსტის მიმოსვლაც კი ვერ აღადგინა, თუმცა თავისათვის ეცადა და მიიღო კიდევ მთავრობისაგან განსაკუთრებული ავტომობილი“-ო.

სამხედრო და სამოქალაქო (პარტიულ) ხელმძღვანელობას შორის შეუთანხმებელ ურთიერთდამოკიდებულებას გაფაცვიცებით თვალყურს ადევნებდნენ საქართველოს მტრები, რომლებიც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ მრავლად იყვნენ.

სწორედ ამ დროს განხორციელდა მზაკვრული ქმედება, – დაიწყო სომეხ-ქართველთა სისხლიანი შეტაკებანი, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება ამ ორი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში... კომუნისტური რეჟიმის დროს ამ თემაზე კვლევა-ძიების უფლებას არავის არ აძლევდნენ, აქაოდა ინტერნაციონალიზმის პრინციპს რაიმე ჩრდილი არ მიადგესო... ფაქტებისა და მოვლენების მიჩუმათებამ და შეუფასებლობამ კი, შესაძლოა, უფრო სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს. მითუმეტეს, ერის მახსოვრობა ისეთი რამ არის,

რომელიც არასდროს არაფერს ივიწყებს... ამჟამად ამ თემაზე ვრცლად საუბარს არ ვაპირებთ, მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რომელიც უშუალოდ გენერალ ბალო მაყაშვილის სახელთან არის დაკავშირებული...

საქართველოს ჯარების მიერ მესხეთ-ჯავახეთის, განსაკუთრებით კი, ახალქალაქის მაზრის მშვიდობიანი დაკავება, ყველაზე უფრო მიუღებელი, სომხეთის დაშნაკური ხელისუფლებისათვის აღმოჩნდა. ისინი მომენტს ელოდებოდნენ, რათა ფართომასშტაბიანი შეტევა განეხორციელებინათ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ეს მზაკვრული ჩანაფიქრი მათ რეალობად აქციეს 1918 წლის 10 დეკემბერს, როცა სომხეთის ჯარებმა საქართველოს საზღვარი გადმოლახეს. პირველ დღეებში სანაინ-ალავერდის რაიონში მოპოვებული წარმატებების შემდეგ, მათ ახალქალაქის მიმართულებითაც დაიწყეს შეტევა...

საქართველოს მთავრობას, რომელიც უფრო სხვა მხრიდან მოელოდა თავდასხმას, პირველ ხანებში ჯიუტად არ სურდა დაეჯერებია, რომ ეს საფრთხე, მას მეზობელი სომხეთის მხრიდან დაემუქრა. ვიღაც ბანდებთან გვექნება საქმე და სერიოზულ ანგარიშში ჩასაგდები არ არისო, - აცხადებდა მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას\*, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა მუქარაშერეული კილოთი განუცხადა საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს: სომხებს თუ ომს გამოუცხადებთ, სამსახურიდან გადავდგებიო. ალბათ, ყაჩაღები ესხმიან თავს ჩვენს ჯარებს, თორემ სომხები ამისთანა თავხედობას, როგორ ვაგვიბედავდნენ, ჩვენი მტრები რომ იყვნენ, თავის თავს რას ერჩიანო. პარლამენტმა გაიზიარა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსაზრება და თავის დადგენილებაში ასეთი აზრი გაატარა: ყაჩაღური ბრბოების წინააღმდეგ რეგულარული ჯარის გაგზავნა რესპუბლიკის დამცირება იქნებაო. მაგრამ, როცა ჭირის მალვას აზრი აღარ ჰქონდა, მაშინ საქართველოს სხდომაზე გამოსულმა ნოე ჟორდანიამ ერისა და ქვეყნის გასაგონად განაცხადა: „იქ, სადაც უფლება არა სჭრის, სადაც არ სჭრის ერთა მოლაპარაკება, სადაც არ სჭრის ერთა უფლება – დეე, ხმალი იყოს ამ უფლების გადამჭრელი. სადაც არ სჭრის გონიერება, დეე იარაღმა გადასჭრას ეს კითხვა – ჩვენ მაგისი არ გვემინიან. ვინც ჩვენს წინააღმდეგ აღმართა მახვილი, ჩვენც იგივე იარაღით უნდა გავცეთ პასუხი. ამის ძალა ჩვენ შეგვწევს“. მთავრობის თავმჯდომარის ამ სიტყვებს დეპუტატები ფეხზე ამდგარნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ასე დაიწყო სომეხ-ქართველთა შორის ეს სისხლიანი და დაუნდობელი ომი, რომელიც მართალია დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ მოუშუშებელი ჭრილობა დატოვა ორივე ხალხის ეროვნულ სხეულზე... სამშობლოს დასაცავად აღსდგნენ საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენლები. პატრიოტულმა აღტკინებამ მოიცვა მთელი ერი. ქრისტიანი ძმების მხარში დგომისაკენ მოუწოდა მაჰმადიან ქართველობას, სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელმა კომიტეტმა. მოწოდებას, რომელსაც ხელს აწერდნენ ხსენებული კომიტეტის თავმჯდომარე მემედ-ბეგ სანჯაყ ბეგის შვილი აბაშიძე და მდივანი სულეიმან ეფენდი დიასამიძე, ნათქვამი იყო: „სამუსლიმანო

საქართველოს შვილებო!... სომხის მთავრობამ ბრძანება მისცა თავის ჯარს გადაელახა საქართველოს საზღვრები... სომხეთის არა-დემოკრატიული ჯარის ნაწილები ნამერდულად – მუხანათურად თავს ესხმიან, როგორც ჩვენს ერთმორწმუნე ძმებს მუსლიმანებს, ისე ჩვენს ღვიძლ ძმებს ქრისტიან ქართველებს. ვერაგულად ეპყრობიან დიდს და პატარას, ასახიჩებენ ყველას ვისაც კი ხელში ჩაიგდებენ... ასეთი სასტიკი, ველურ საშუალებათა ხმარებით განზრახული აქვთ დაიპყრონ ბორჩალოს მაზრა, ახალქალაქი, ახალციხე და ვინ იცის კიდევ, რომელი კუთხე ჩვენი ქვეყნისა...

გაფრთხილდით, მამულიშვილნო!

დაგვიდგა ყოფნა-არყოფნის დრო, ეხლა უნდა დავიცვათ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ოჯახი, ჩვენი ნამუსი და ჩვენი სახლ-კარი. სწორედ ეხლა უნდა ავიღოთ ხელში იარაღი და ამოვუდგეთ მხარში სამშობლოს საკეთილდღეოდ ჩვენს თანამემამულეთ – ქრისტიან ქართველებს... ჩვენც მათთან ერთად უნდა მივიღოთ მონაწილეობა სამშობლოსა და თავის დაცვის საქმეში...

აბა მამულიშვილნო!

დავეშუროთ სამშობლოს, ოჯახის, ნამუსის და სახლ-კარის დასაცავად.“

1918 წლის 20 დეკემბერს სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას დეპუტატებს მოახსენებდათ – რა ფრონტებზე არსებულ ვითარებას, ყურადღებას ამახვილებდა ახალქალაქის მიმართულებით საომარ მოქმედებებზე: „16 დეკემბერს, დილის 5 საათზე მტერი თავს დაესხა ჩვენი საზღვრის მოღარაჯეებს, ჩვენმა ჯარისკაცებმა ისინი უკუ აქციეს... დილის 8 საათზე დაიწყო სასტიკი ბრძოლა, რომელიც 16 საათამდე გაგრძელდა. პოზიციები ხელიდან-ხელში გადადიოდა. ჩვენმა ჯარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. მტერი საზღვრებს იქით განდევნა... დღეს დილით მოვიდა ცნობა, რომ მოწინააღმდეგეს შეტევა კვლავ განუახლებია, მაგრამ გენერალ მაყაშვილს იგი სასტიკად დაუმარცხებია. ტყვედ წამოყვანილია 60 ჯარისკაცი, 2 ოფიცერი, წამოღებულია 1 ტყვიისმფრქვეველი და სხვა იარაღი.“

ახლა დაწვრილებით იმაზე, თუ როგორ შეხვდა მტრის თავხედურ გამოხდომას გენერალი ბალო მაყაშვილი, როგორც ფრონტის წინა ხაზზე მყოფი პატრიოტი მებრძოლი. ამის თაობაზე მშვენივრად არის მოთხრობილი იოსებ იმედაშვილის ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილ დოკუმენტურ რომანში „განახლებული სიცოცხლე“.

„სომხეთის ჯარებმა საქართველოს საზღვარი ახალქალაქთან 10 დეკემბერს გადმოლახა... როცა ამის შესახებ იქ დაბანაკებულ ქართველთა ჯარის სარდალს გენერალ მაყაშვილს აცნობეს, ერთი ჩაილიმა, მერე კოპები შეიკრა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- ეს ხალხი წერას აუტანია, მაგათ ჭკუის სწავლება უნდათო... მაგრამ, როგორც სოციალისტური მთავრობის მხედარს შეეფერებოდა: საქმის გათავება მშვიდობიანი გზით არჩია და სომეხთა რაზმის სარდალს ორი მოციქული გაუგზავნა – სომეხ ლტოლვილთა კომიტეტის რწმუნებული – აბელიანი და პოლკოვნიკი გველესიანი... მოციქულთათვის დანაბარები ლაკონური იყო:

- გათენებამდე მთელ ჯავახეთის არემარეში არ იყოს არც ერთი სომეხი ჯარისკაცის ფეხიო...

სომეხთა რაზმის გაყოფილებულმა უფროსმა ეს მოთხოვნა არაფრად ჩააგდო...

- ეგ არის, დავიჯერე რაღა! – თავხედურად წარმოთქვა და მაყაშვილს შემოუთვალა:

- მე ჩემის მთავრობის ბრძანება მაქვს ახალქალაქი დავიჭიროო... და იმავე ღამეს, შეუჩერებლივ გასწია წინ ჯავახეთის შუაგულისაკენ და რამდენიმე სოფელი დაიჭირა.

ეს თავხედობა კი ვეღარ აიტანა გენერალმა მაყაშვილმა, გაბრაზებით გააფურთხა და წარმოსთქვა:

- მკებნარი ფეხზე დაისვი და თავზე აგაცოცდებო... დაე, რაც მოხდეს თავის თავს დააბრალონო...

ჯარის ერთი რაზმი წარგზავნა და სომეხთა გზააბნეული რაზმი გუმბრის მიდამოებში შერეკა...

გენერალ მაყაშვილის ჯარის მრისხანება ეგოდენ ძლიერი იყო, რომ სომეხები უკანმოუხედავად გარბოდნენ სასომხეთისაკენ.

- წინ ქვა და უკან მეწყერი! – მისძახოდნენ მთელი ჯავახეთის მკვიდრნი, თვით სომეხებიც კი...

ამავე დროს ჯავახნი მადლობას უცხადებდნენ გენერალ მაყაშვილს...

გენერალი უფრო შორს წავიდოდა ერევნისაკენ, - ასეთი იყო მისი შურისძიების გეგმა, რესპუბლიკის მთავრობის სასწრაფო ბრძანება რომ არ მიეღო: შეჩერდი! წინ ნუღარ წახვალ, ნურც სომეხთა ჯარს გადმოუშვებო.

ქართველის ამოღებული ხმალი ქარქაშში ჩაეგო, მხედრის აბორგებული გულის ცემა მღურვით საგულეს ჩატრიალდა...“

მტერთან პირისპირ შერკინებამ და მიღწეულმა გამარჯვებებმა კიდევ უფრო პოპულარული გახდა გენერალ ბალო მაყაშვილის სახელი, როგორც მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობას შორის, ისე თავის ხელქვეით ჯარისკაცსა და ოფიცრებში.

მოგვიანებით მისი ყოფილი ჯარისკაცი პეტრე ქვაროდინაშვილი პატივისცემით იგონებდა: „ქართველი ერის ის ნაწილი, რომელსაც სამშობლოს თავისუფლება თავის სისხლში გაუბანია, ქართველი გმირი მეომრები, არასოდეს დაივიწყებენ ბალო მაყაშვილს, ამ რაინდ – მხედარს და ახალციხის გმირს... ჩვენ, მისი მეომრები განა ოდესმე დავივიწყებთ მას, რომელმაც ერთი მუჭა ხალხი ნამდვილ ზეგმირებად გვაქცია...“

და იცით ამ სასწაულს რით მიაღწია გენერალმა მაყაშვილმა?

გამიგონია, რომ რუსეთში ნაპოლეონის შემოსევის დროს, რუსეთის ყველა გენერალთა შორის კუტუზოვზე მეტად არავინ იცნობდა რუსი ჯარისკაცის სულსა და გულსაო... ასეთი იყო ჩვენი გენერალიც... ყოველ სიტყვას, ასე გასინჯეთ, სალანძღავსაც კი შიგ გულში ახვედრებდა ყოველ ჯარისკაცს და საგმირო საქმეების საკეთებლად აღანთებდა მათ.

მახსოვს, ახალციხეში პოზიციების დათვალიერების დროს ჩვენს თხრილში ჩამოვიდა, პაპიროსი მოგვაწოდა და გვითხრა: მოგილოცავთ გმირებო, დღეს მთავრობის თავმჯდომარისაგან სალაში მივიღეთ, მაშველ ჯარს გვიგზავნის და ჩვენი გმირობით ალტაცებული სამშობლოს სახელით გვიბრძანებს: მოსეულ მტერს გავუმკლავდეთო. ამას ისე მომხიბვლელად გვეუბნებოდა ჭალარა გენერალი, რომ ზეკაცურ გმირობის ჟინით ვინთებოდით... ერთხელ, ჩვენთან მოსულს ვკითხე: ბატონო გენერალო, როგორ არის ჩვენი საქმე-მეთქი.

- როგორ იქნება, ჩვენ რა გვიშავს, კიდევ რომ დავიხოცოთ, სამშობლოში დავიხოცებით, მაგათ იკითხონ..., რომ თავის სამშობლოდან ცხრა მთას იქით ჩავხოცავთო!“

სომეხ-ქართველთა ომი, როცა საქართველოს ჯარები ყველა მიმართულებით წარმატებულ შეტევებს ანხორციელებდნენ, 1918 წლის დეკემბრის ბოლოს ინგლისელთა საოკუპაციო ნაწილების ჩარევით შეწყდა; მებრძოლი მხარეები ერთმანეთს დააშორიშორეს, სანაინ-ალავერდის ტერიტორია სამშვიდობო მოლაპარაკების დასასრულამდე ნეიტრალურ ზონად გამოაცხადეს... რაც შეეხება მესხეთ-ჯავახეთს, აქაც სომხეთთან საომარი მოქმედებები, მართალია, ოფიციალურად დამთავრდა, მაგრამ ყაჩაღური თავდასხმები თითქმის ყოველდღიურად მაინც არ წყდებოდა... საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით გაბოროტებული „ორი დაუძინებელი მტერი – მუსლიმანი ბეგები და ადგილობრივი სომხები გაერთიანდნენ“ და დაუნდობლად უსწორდებოდნენ ადგილობრივ ქრისტიან ქართველ მოსახლეობას... შეშინებული ადამიანები, ვინც კი თავის დაღწევას ახერხებდა საქართველოს სიღრმეში მოიწვედა, ანდა მთა-ღრეებს აფარებდა თავს... გენერალ მაყაშვილსა და მის სამხედრო ძალებს, როგორც იტყვიან, ერთი წუთითაც არ ჰქონდათ მოსვენება და სისტემატურად უთანასწორო შეტაკებებში უხდებოდა მონაწილეობის მიღება. „უთანასწოროში“ იმიტომ, რომ „მის განკარგულებაში მყოფი ჯარების რაოდენობა სინამდვილეს არ შეესაბამება... რეალურად მას ორი ლეგიონი ჰყავდა: ერთი ახალციხეში, ხოლო მეორე ახალქალაქში დაბანაკებული. დანარჩენი სამხედრო ნაწილები სხვადასხვა სახელწოდებით რომ მოიხსენიებოდნენ („განსაკუთრებული რაზმი ჟორდანიასი“, „კერესელიძის“, „ფხაკაძის“ და სხვ.) მხოლოდ ქალაქებში ირიცხებოდნენ, იღებდნენ სურსათს, ტანსაცმელს არა ჯარისკაცების არსებული რიცხვის მიხედვით, არამედ თანახმად შედგენილი სიებისა... მიუხედავად იმისა, რომ მაყაშვილი და სხვა უფროსები მთავრობისაგან მოითხოვდნენ, თავიდან მოეშორებინათ მათთვის ამგვარი ჯარის ნაწილები, მაგრამ მათ ხელს არავინ ახლებდა...“

სომხეთ-საქართველოს ომის დამთავრებისთანავე 1919 წლის იანვრის ბოლოს, თურქეთის აგენტების მიერ წაქეზებული შეიარაღებული რაზმები ახალციხის მაზრაში შემოიჭრნენ და აჯანყების ცეცხლში გაახვიეს მესხეთ-ჯავახეთის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია. აჯანყებულებმა სერვერ-ბეგ ქობლიანსკის\* ხელმძღვანელობით მაზრის ორი უდიდესი სოფელი უდგ და არალი დაიკავეს და ნაცარ-ტუტად აქციეს.



1919 წლის იანვრის ბოლო დეკადაში უფრო ორგანიზებული ხასიათი მიიღო სერვერ-ბეგისა და სხვათა თავდასხმებმა მშვიდობიან ქართულ მოსახლეობაზე. საქართველოს დეპეშათა სააგენტოს მიერ გავრცელებულ ერთ-ერთ ცნობაში, რომელიც ახალციხის მაზრაში არსებულ სიტუაციას შეეხებოდა, ნათქვამი იყო: „არტაანის ოლქის ფოცხოვის რაიონიდან, სადაც დღემდე იმყოფება ოსმალთა გენერალი ხალილ ბეი, ახალციხის მაზრაში შემოიჭრნენ შეიარაღებული „ბანდები“, რომელთა შორის მრავლად არიან ასკერები, დაახვეწიეს ჩვენს სადარაჯო რაზმებს და დაიკავეს რამდენიმე სოფელი. ამ ბანდებს მეთაურობენ ოსმალთა აგენტები და ადგილობრივი ბეგები. ესენი პროვოკაციისა და ტერორის საშუალებით მცხოვრებთ ამხედრებენ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ.“

1919 წლის იანვრის 22-ს სამხედრო მინისტრმა ახალციხიდან გენერალ მაყაშვილის მიერ გამოგზავნილი შემდეგი ცნობა მიიღო: ფოცხოვის რაიონიდან შემოჭრილი „ბანდები“ დამარცხებულ და განადგურებულ იქნა. ამ „ბანდებისაგან“ გათავისუფლებული სოფლები საქართველოს რესპუბლიკის მორჩილებას აცხადებენ და ითხოვენ პატიებას. მე მოვითხოვე მათგან ნიშნად მორჩილებისა მთელი იარაღის გადმოცემა, რაზედაც მცხოვრებნი დასთანხმდნენ.“

1919 წლის იანვრის ბოლო დღეებში სერვერ-ბეგმა მოახერხა ახალციხის მაზრის მაჰმადიან მოსახლეობაში აჯანყების პროვოცირება, აჯანყებულებმა ხელთ იგდეს მაზრის ორი უდიდესი ქართული კათოლიკური სოფელი უღე და არალი და მიწასთან გაასწორეს ისინი... ჯარისკაცთა უმრავლესობა მტერს შეაკვდა, მაგრამ გენერალი ბ. მაყაშვილი იძულებული იყო უკან დახვევის ბრძანება გაეცა... მთავრობა კარგად იყო ინფორმირებული, თუ რა ხდებოდა ახალციხის მაზრაში... გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იგონებს: „1919 წლის 3 თებერვალს, სამხედრო მინისტრმა თავისთან მიმიწვია და ამიხსნა, რომ ახალციხისა და ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორის საქმე კარგად ვერ არის, რომ პირველ თებერვალს სოფელ არალისა, უღესი და ვახნართან დაბანაკებულ ჯარებს დაეცნენ აჯანყებული ადგილობრივი მცხოვრებნი და ჩვენი ჯარები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ; რომ ყარსში დაარსდა მუსლიმანების ცალკე რესპუბლიკა, რომელსაც სათავეში უღვას ახალციხის მცხოვრები სერვერ-ბეგ ათაბაგი, რომელიც სცდილობს განდევნოს ჩვენი ადმინისტრაცია და ჯარები ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიდან, რომ მთავრობა უკმაყოფილოა გენერალ მაყაშვილის მოქმედებით და განზრახვა აქვს ის თანამდებობიდან გადააყენოს და მის ადგილზე მე დამნიშნოს...“

გენერალი გ. მაზნიაშვილი თანხმობის მიცემისთანავე მესხეთ-ჯავახეთის გენერალ-გუბერნატორად და იქ დაბანაკებული ჯარის უფროსად ინიშნება... მეორე დღეს, საღამოს ის უკვე ახალციხეშია და გენერალ მაყაშვილს ცვლის.

გ. მაზნიაშვილი დიდი პატივისცემით ახასიათებს თავის წინამორბედს, როგორც შესანიშნავ პროფესიონალს, დიდ მამულიშვილს, ძველ და გამოცდილ სარდალს... და იზიარებს მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სერვერ-ბეგი და მისი დამქაშნი – ოსმალეთის ემისრები კი არ იყვნენ, არამედ მთავრობის მიერ ხელდასმული დაბალი ადმინისტრაციული აპარატი მესხეთ-ჯავახეთის მხარისა...

იმ დღეების შესახებ ცოტა მოგვიანებით ახალციხიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში, რომელიც გაზეთ „სახალხო საქმეშია“ დასტამბული, ნათქვამია: „დღეს დანამდვილებით გავიგეთ, რომ ბატონ ლეო რუხაძის წყალობით გენერალი მაყაშვილი გადაუყენებიათ თავის თანამდებობიდან და მის მაგიერ დაუნიშნავთ გენერალი მაზნიაშვილი. რას მოგვიტანს მაზნიაშვილი, ახლო მომავალი გვიჩვენებს. მაყაშვილმა ზედმიწევნით იცოდა ახალციხის და მისი მაზრის მდებარეობა. ლეო რუხაძემ და მისმა დამქაშებმა დიდი ხანია ნიშანში ამოიღეს იგი და გადააყენეს კიდევ სამსახურიდან, მაგრამ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ჯარის უკან დახევაში დიდი დანაშაული მიუძღვით სანჩო-პანჩო სოციალ-დემოკრატებს, ვიდრე გენერალ მაყაშვილს.“

გენერალ გ. მაზნიაშვილის თქმით, „5 თებერვალს, საღამოს, გენერალი მაყაშვილი ტფილისისაკენ გამოემგზავრა“.

12 თებერვალს ახალციხეში ფოცხოვის ჯარი შემოვიდა სერვერ-ბეგ ქობლიანსკის მეთაურობით... მათ მაშინვე დააპატიმრეს ქართული ადმინისტრაციის იქ დარჩენილი წარმომადგენლები... გაფაციცებით დაეძებდნენ – ჰაიდარ აბაშიძეს, ლეო რუხაძესა და ყადირ შარვაშიძეს... ახალციხეში ჩარჩენილი ქართველები კი საშინელ დღეში ჩავარდნენ.

გენერალი გ. მაზნიაშვილი, ითვალისწინებდა რა გენერალ ბ. მაყაშვილის მოსაზრებებს, ენერგიულად შეუდგა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მან რაიმე მნიშვნელოვანი ოპერაციის განხორციელება ვერ მოასწრო: მთავრობამ იგი უკან გამოიწვია და მის ადგილას გენერალი გიორგი კვინიტაძე დანიშნა... ეს უკანაკნელი უფრო პრინციპული აღმოჩნდა ხელისუფლებასთან ურთიერთობაში, შესძლო თავის ხელში აეღო სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის ფუნქციები და უნარიანი სამხედრო ოპერაციების დაგეგმვითა და განხორციელებით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების ისევ საქართველოსათვის დაბრუნება მოახერხა... ეს მოხდა 1919 წლის მარტის დასაწყისში.

იმავე ხანებში, კერძოდ, 14 მარტს, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ნიკო ელიავას წინადადებით შექმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა ახალციხის ამბოხების ყოველმხრივ გამოძიება-შესწავლა. კომისია, რომელშიც შედიოდნენ – გიზო ანჯაფარიძე (სოც.-დემოკრატი), სამსონ ფირცხალავა (სოც.-ფედერალისტი), პეტრე სურგულაძე (ეროვნ.-დემოკრატი) და სხვები, 17 მარტს ადგილზე გაემგზავრა.

კომისიამ გულდასმით იმუშავა... თავისი ფეხით მოიარა მრავალი დასახლებული პუნქტი, რომელთაგან უმეტესობა მიწასთან იყო გასწორებული, შეხვდა სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს, დაკითხა ათეულობით განსხვავებული სარწმუნოებისა და ეროვნების ადამიანი, შეისწავლა არაერთი ოფიციალური დოკუმენტი და შეადგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი „ახალციხის ამბოხების შესახებ“ და უძალდეს ორგანოებს წარუდგინა...

დამფუძნებელი კრების\* საგანგებო კომისიამ თავის დასკვნაში ხაზგასმით მიუთითა: „ცუდი შთაბეჭდილება გამოიწვია იმანაც, რომ გენერალ-გუბერნატორობა ჩამოართვეს გენერალ მაყაშვილს, რომელსაც დიდი

დამსახურება ჰქონდა მოხვეჭილი ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ეს გენერალი შარშან რამდენიმე თვის განმავლობაში მშვენივრად იცავდა ახალციხეს, იცნობდა მის ყოველ კუთხეს. როცა ძალა-უფლებით აღჭურვეს ლეო რუხაძე, ნიჭიერი, მაგრამ მეტიმეტად ახალგაზრდა კაცი, ხალხს საქართველოს მთავრობის პატივისცემა დაეკარგა.“

აღსანიშნავია, რომ მასში არსად არ არის მითითებული გენერალ ბალო მაყაშვილის, როგორც მხარის გენერალ-გუბერნატორის, რაიმე კონკრეტულ დანაშაულზე, პირიქით, არაერთი დასკვნაა გაკეთებული მისი სასარგებლო საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებით ხაზგასმულია იმის თაობაზე, თუ რა უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში, გენერალ მაყაშვილის ნაცვლად, ლეო რუხაძისათვის უპირატესობის მინიჭებამ და მისმა დაწინაურებამ... „ცუდი შთაბეჭდილება გამოიწვია იმანაც, რომ გენერალ-გუბერნატორობა ჩამოართვეს გენერალ მაყაშვილს, რომელსაც დიდი დამსახურება ჰქონდა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ეს გენერალი შარშან (იგულისხმება 1918 წელი – გ. ს.), რამდენიმე თვის განმავლობაში მშვენივრად იცავდა ახალციხეს, იცნობდა ყოველივე მის კუთხეს... როცა ძალა-უფლებით აღჭურვეს ლ. რუხაძე ნიჭიერი, მაგრამ ახალგაზრდა კაცი, ხალხს საქართველოს მთავრობის პატივისცემა დაეკარგა...“

გაზეთი „სახალხო საქმე“ 18 მარტის ნომერში დასტამბულ კორესპონდენციაში, ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „დღესვე (ე. ი. 7 მარტს – გ. ს.) გადმოგვცეს, რომ ლეო რუხაძეც მოვა ახალციხეშიო.“

ჩვენ სწორედ ვერ გამოგვირკევეთ: რალა საქმე აქვს და რისთვის მოდის რუხაძე და ან რისთვის გზავნის მას მთავრობა ახალციხეში?

შეიძლება მთავრობამ სთქვას, რომ რუხაძეს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის მესხეთ-ჯავახეთის წინაშე და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ ვიფიქროთ, რომ თუ რუხაძე არ არის დამნაშავე, მაშასადამე თვით მთავრობა ყოფილა დამნაშავე მესხეთ-ჯავახეთის უკანასკნელ ამბებში.... ლოლიკა და სამართლიანობა მოითხოვდა ხალხის გონების დასამშვიდებლად რუხაძის მაგიერ მთავრობას სხვა კაცი გამოეგზავნა. ამ ამბავმა საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია“.

მესხეთ-ჯავახეთის გენერალ-გუბერნატორობიდან განთავისუფლებული ბალო მაყაშვილი თბილისში ბრუნდება ყოველგვარი სამსახურის გარეშე. ამ დროს თბილისის გენერალ-გუბერნატორის პოსტი ნოე რამიშვილისა და ნოე ხომერიკის რეკომენდაციით ახალგაზრდა შალვა მალლაკელიძეს უკავია, რომელიც თავის მხრივ თანადგომას აღმოუჩენს გენერალ მაყაშვილს და მას თბილისის გარნიზონის უფროსად (კომენდანტად) ნიშნავს.

თბილისის გარნიზონის უფროსის თანამდებობაზე დანიშნული ბალო მაყაშვილი, იმთავითვე უპირველეს ყურადღებას აქცევს დედაქალაქში დისლოცირებულ ჯარის ნაწილებში დისციპლინის განმტკიცების საქმეს. ამაში ხედავს იგი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების გაუმჯობესების ერთ-ერთ პირობას. იმ ხანებში მისი ხელმოწერით გამოცემულ ბრძანებებში, „თბილისის გარნიზონისადმი,“ თვალნათლივ გამოსჭვივის ეს სურვილი. მაგალითად, 1919

წლის 22 თებერვლის №57-ე ბრძანების ერთ-ერთ პარაგრაფში იგი მიუთითებდა: „მიუხედავად სამხედრო მინისტრის სასტიკი ბრძანებისა... მე არაერთხელ შევნიშნე, რომ ზოგიერთი ოფიცერი ატარებს მისთვის არამინიჭებულ წოდების პაგონებს... ცივი იარაღის ტარების უფლების მქონე ოფიცრები, ექიმები და სხვ. არ იცავენ ამ მოთხოვნას და ა. შ. ეს დაუშვებელია“.

ანდა სხვა მაგალითი ავიღოთ: 1919 წლის 28 მარტის №87-ე ბრძანება: „სამხედრო მინისტრის (იმ დროს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი იყო სამოქალაქო პირი, მენშევიკი გრ. გიორგაძე – გ. ს.) ბრძანების გამო ვაცხადებ, რომ ყველა ოფიცერი, რომელიც ოფიცრის წოდების არაშესაფერისად იქცევა, ატარებს ისეთ ფორმას, რომელიც მას არ ეკუთვნის, ხმარობს ოფიცრის ფორმას, მაგრამ ჯარში კი არ არის და სამსახურის მოწმობა არა აქვს, დატუსაღებული იქნება. სამსახურში მყოფი ოფიცრები, ყოველგვარს ჩხუბის, დავიდარაბისა და აყალმაყალისათვის დაუყოვნებლივ დათხოვნილნი იქნებიან საქართველოს რესპუბლიკის ჯარში სამსახურიდან“.

გენერალ გ. კვინიტაძის თქმით: „ახალციხის ამბები 1919 წლის თებერვალში დატრიალდა. ეს განვლდათ ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყება... აჯანყება ერთ-ერთი მემამულის, სერვერ-ბეგ ქობლიანსკის წაქეზებით დაიწყო. მას ზურგს უმაგრებდა რეალური ძალა – სახელმწიფო „კაკასიის სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორია“. ეს სახელმწიფო ყარსისა და არდაგანისაგან შეიქმნა, აჭარის ფედერაციულ ერთეულად შეერთებასაც ლამობდა და ამის თაობაზე მოლაპარაკებებსაც მართავდა... 1918 წელს კი ჩვენმა წარუმატებლობამ – ბათუმის, ახალციხის და ახალქალაქის დაკარგვამ მოსახლეობა საბოლოოდ დაარწმუნა საქართველოს სისუსტეში. ამასობაში ჩვენმა მთავრობამ ახალციხე დაიბრუნა და იქ თავის წარმომადგენელად დანიშნა ლეო რუხაძე, რომელმაც აქაურობისათვის ერთობ უცხო სოციალისტური იდეების გავრცელება და დანერგვა დაიწყო. ამ ახალმა იდეებმა მემამულეთა და სასულიერო პირთა წინააღმდეგობა გამოიწვია, რამაც სერვერ-ბეგის წისქვილზე დაასხა წყალი... ამ მომენტში ქართულმა მცირერიცხოვანმა ჯარმა საყოველთაო აჯანყების შეჩერება ვერ შეძლო... აქვე შევნიშნავთ, რომ ეს იყო შედეგი სამთავრობო რწმუნებულის ლ. რუხაძის და სამხედრო ხელმძღვანელობის შეუთანხმებელი მუშაობისა. ამაში, რასაკვირველია, დიდი წვლილი მიუძღვის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ინტერნაციონალური იდეებით თავდაპირველ მოღვაწეთა უმწიფარ ნაბიჯებს...“

მიუხედავად იმისა, რომ გენერალი ბ. მაყაშვილი უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდება თავისი მოვალეობის აღსრულებას, მინისტრ გრ. გიორგაძის განკარგულების თუ ბრძანებების ცხოვრებაში ზედმიწევნით გატარებას, მას მაინც ამრეზილად უყურებდნენ სამთავრობო წრეებში. შ. მალლაკელიძეს, აიძულებენ დედაქალაქის მთავარი მეციხოვნის პოსტი დაატოვებინოს ბ. მაყაშვილს..

შალვა მალლაკელიძე, ამასთან დაკავშირებით, იგონებდა: „მაყაშვილი მე მოვიწვიე, როდესაც თბილისის გენერალ-გუბერნატორი ვიყავი და დავნიშნე

თბილისის კომენდანტად. ამაზე აყაყანდნენ სოციალისტები: თქვენ რეაქციონერები ხართ და აიძულეს მაყაშვილი და მეც მაიძულეს, რომ გამეთავისუფლებია...”

ეს ის პერიოდია, როცა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისია, სამხედრო საბჭო, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის აქტიური მონაწილეობით საჯარისო შენაერთების რეორგანიზაციას ანხორციელებენ, სადაც საკითხის გადაწყვეტა უბრალო უმრავლესობით, ანუ „თითების აწევით“ ხდებოდა. „რეორგანიზაციის დროს ბალო მაყაშვილი გენერლის თანამდებობაზე არ მოხვდა იმიტომ, რომ დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ გააუქმა ტფილისის კომენდანტის თანამდებობა...” მან კი „უადგილოდ და ულუკმაპუროდ დარჩენილმა“, რომელმაც „მხედრობის მეტი არაფერი იცოდა, ათასეულის უფროსობა შეურაცხყოფელ დაქვეითებად ჩათვალა და ადერბეიჯანის ჯარში შესვლა არჩია“, რომელსაც იმჟამად საქართველოსთან სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდა დადებული. გენერალმა ბ. მაყაშვილმა ამაზე საქართველოს მთავრობის ნებართვა მიიღო.

იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა მამაცი და სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული გენერლის ისევ სხვის სამსახურში ჩადგომა, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი წერილი, – „აღმაშფოთებელი საქციელი“, რომელიც ბ. მაყაშვილის ტრაგიკულად დაღუპვას ეხმიანება... ხელმძღვანელი პარტიის ცენტრალური ორგანო ყოფილ სამხედრო მინისტრს გრ. გიორგაძეს სდებს ბრალს, რომელსაც თავისი მოსაზრებები გამოუთქვამს ოპოზიციური გაზეთის „ახალი სხივის“ (რედაქტორი გრ. ვეშაპელი) ფურცლებზე...

„ცნობილია რომაელთა თქმულება, - წერს „ერთობა“, - De mortuis aut bene aut nihil (განსვენებულთა შესახებ ან არაფერი, ან კარგი).

შეიძლება თქვენ არ დაეთანხმით რომაელთ, მაგრამ განსვენებულის გარშემო წვრილმანი ანგარიშების გასწორება, სრულიად ახალი საქმეა. ეს „საქმე“ გრ. გიორგაძემ იკისრა.

გრ. გიორგაძის საქციელის გვერდის ახვევა ყოვლად შეუძლებელია.

ბაქოს ბალშევიკებმა დახვრიტეს გენერალი ბალო მაყაშვილი, ადამიანი უმწიკვლო და სრულიად უდანაშაულო. არავითარ შეთქმულებაში ის მონაწილეობას არ მიიღებდა. ეს თვით ბაქოელმა კომუნისტებმა კარგად იციან. მოსალოდნელი იყო, რომ „ახალი სხივი“ და გრ. გიორგაძე კომუნისტთა ბარბაროსობას შესაფერ მსჯავრს დასდებდნენ. ახლა ყური დაუვგლოთ გრ. გიორგაძეს, ის სწერს: „მერე რამ გადახვეწა ეს გმირი ადერბეიჯანში, რამ მოაშორა ის სამშობლოს, რომელიც მას ასე უყვარდა? ჯარის რეორგანიზაციის დროს, როდესაც ადგილზე გამწესება თითებით სწყდებოდა, ბალო უადგილოთ დატოვეს, ულუკმაპუროთ დარჩა, მან მხედრობის მეტი არაფერი იცოდა და ჩვენი მთავრობის ნებართვით ადერბეიჯანის ჯარში შევიდა“.

დასასრულ: „კომუნისტებმა სიმხეცე ჩაიდინეს, მაგრამ რა ეწოდება იმ მოქმედებას, რომლის მეოხებით ასეთი ერთგული და სასარგებლო პიროვნება სამშობლოდან განიდევნა?“

მკითხველი ხედავს, რომ გრ. გიორგაძე კომუნისტებით არ კმაყოფილდება და წვდება იმ „თითებს“, რომელმაც ბალო მაყაშვილი „სამშობლოდან განდევნა“, რომ გრ. გიორგაძეს სავსებით არ დაეკარგა მდგომარეობის გაგების უნარი, ის უნდა გაჩუმებულიყო იმ კითხვების შესახებ, რომელსაც ეწოდება ჯარის რეორგანიზაცია, მაგრამ სჩანს, მას დავთარი დაეხსნა. ამიტომ საჭიროა სრული სურათის აღდგენა. როცა გრ. გიორგაძე სამხედრო სამინისტროს მოშორდა, საერთო აზრი იყო, რომ აუცილებლად საჭიროა ჯარის ხელმძღვანელი წრეების გაწმენდა. ეს საქმე სამხედრო მინისტრთან ერთად იკისრა სამხედრო საბჭომ და დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ენერგიული მონაწილეობით. მართალია, აქ ჯარის ხელმძღვანელთა თანამდებობაზე გაწესება „თითებით სწყდებოდა“, მაგრამ თითქმის ყველა გადაწყვეტილებას ერთხმად იღებდნენ. ეს ცოტაა. რეორგანიზაციის გატარებით ყველანი კმაყოფილი დარჩნენ, მათ შორის ცნობილი მხედრებიც. თუ გრ. გიორგაძე გამონაკლისს წარმოადგენდა და რეორგანიზაციით უკმაყოფილო იყო, რა სდუმდა ის დღემდის?

რეორგანიზაციის დროს ბალო მაყაშვილი გენერლის თანამდებობაზე არ მოხვდა. და ეს იმიტომ, რომ დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიამ გააუქმა ტფილისის კომენდანტის თანამდებობა, რომლის მოვალეობას ასრულებდა განსვენებული მაყაშვილი. მან არ მოისურვა ათასეულის უფროსობა და არცაა აზღერბეიჯანში წასვლა, რისთვისაც შესაფერი ნებართვა მიიღო. ეს იყო და ეს. რა შუაშია აქ „თითები“, ანდა „სამშობლოდან განდევნა“.

ყველაფერი ეს ხომ კარგად იციან სამხედრო სამინისტროს მაშინდელმა მეთაურებმა, აგრეთვე სამხედრო კომისიისა და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრებმა. ნუთუ ეს არ იცის გრ. გიორგაძემ?..“

დატყვევებული გენერალი ბალო მაყაშვილი ბაქოს საგანგებო კომისიამ გაასამართლა და სიკვდილის განაჩენი გამოუტანა.

„კომუნისტების ეს ბარბაროსული საქციელი არ გვიკვირს, – ეს მათი თანდაყოლილი თვისებაა! – წერდა იმ დღეებში გაზეთი „სახალხო საქმე“, – გვეინტერესება მხოლოდ შემდეგი: რა ზომები მიიღეს ამ საქმეში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და ჩვენმა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აღშობაიამ და, რა გარანტიაა იმისა, რომ ბაქოს მესვეურთა სისხლიანი ხელი არ იმსხვერპლებს დანარჩენ ჩვენს თანამემამულეებს?!“

ცოტა მოგვიანებით, ხსენებული გაზეთის კორესპონდენტი ერმილე ხავთასი, რომელიც ბაქოში იმყოფებოდა, თავის ვრცელ წერილში „განახლებული ადერბეიჯანი“ დაწვრილებით აღწერდა, თუ რა დღეში ჩაყარეს ბოლშევიკებმა და რუსეთის მეთერთმეტე არმიამ აზერბაიჯანის დედაქალაქის მცხოვრებნი, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებიც...

აზერბაიჯანში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ გენერალი ბალო მაყაშვილი სამშობლოში დაბრუნებას ცდილობს, მაგრამ უგზობისა და სხვა მრავალი დაბრკოლების მიზეზით, ამას ვერ ახერხებს... კომუნისტებმა იგი დააპატიმრეს და შეთქმულებაში მონაწილეობა დააბრალეს... მანამდე კი მის



თვალწინ გაიარა ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცების დაპატიმრებისა და დამცირების საშინელმა სურათმა... და არა მარტო სამხედრო მოსამსახურეთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა დაცინვისა და აბუჩად აგდებისა, არამედ ყველა იმათი, ვინც საბჭოთა სამსახურში შესვლა არ ისურვა.

„როდესაც კომუნისტები აზერბეიჯანის შინაგანი მოლაპატეების წყალობით ბაქოში შემოიჭრნენ, ყოველივე მიანგრ-მოანგრიეს და თავის ველურობას აღვირი წახსნეს, როგორც ამბობენ, სხვათაშორის, საქართველოს მისიის წარმომადგენელს დგებუაძეს ქუჩის გვა დააწყებინეს. მამულიშვილმა და ჭეშმარიტმა მხედარმა, სულთ გენერალმა მაყაშვილმა სამშობლოს შეურაცხყოფა ვერ აიტანა და უნამუსო მოძალადეებს პირში მიახალა: - ნება არა გაქვთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს ქუჩა აგვევინოთ! მაგ საქმეს მე შევასრულებ, როგორც ჯარისკაციო!

მართალია თუ არა ეს ცნობა არ ვიცით, ასეთი ხმა კი გამოვიდა, მაგრამ ვინც გენერალ მაყაშვილს იცნობდა, დაიჯერებს, რომ იგი საქართველოს შეურაცხყოფას არავის აპატიებდა“, – წერდა იოსებ იმედაშვილი\*.

ბალო მაყაშვილის ტრაგიკულმა აღსასრულმა დიდად დაამწუხრა მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა, რომლებსაც კარგად ახსოვდათ ჭაღარა გენერლის სამშობლოს საკეთილდღეოდ გაწეული თავდადებული საქციელი. ახალციხიდან გამოგზავნილ ინფორმაციაში აღნიშნული იყო: „დღეს, 5 ივლისს, წმ. გიორგის ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი გენერალ ბალო მაყაშვილის სულის მოსახსენიებლად, რომელიც გმირულად და მოწამებრივად შეეწირა სამშობლოს. პანაშვიდს დაესწრნენ დამფუძნებელი კრების წევრი თ. კიკვაძე, გენერალი ვაშაკიძე, სამხედრო პირნი და სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები და მრავალი მოქალაქენი. ბრწყინვალე ხსოვნა გენერალ მაყაშვილისა დაუვიწყარი იქნება მესხთა გულში და მომავალი თაობა მაყაშვილის გმირობას ხალხურ სიმღერაში გამოხატავს.“

საზოგადოებაში, იმავე ხანებში, შეიქმნა მითქმა-მოთქმა, იმის თაობაზე, თუ რა იღონა საქართველოს რესპუბლიკის საელჩომ გენერალ ბალო მაყაშვილისა და სხვა ქართველ მომსახურეთა დასაცავად. ეჭვებს გამოთქვამდნენ ელჩის გრიგოლ ალშიბაიას უპატიოსნო როლზე ამ საქმეში და ა. შ.

1920 წლის 5 ივლისს საქართველოს საინფორმაციო ბიურო იტყობინებოდა: „ბაქოში მყოფ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის – ალშიბაიას ცნობით, – 26 ივნისამდე ბაქოში დახვრეტილია 3 ქართველი ოფიცერი – პოლკოვნიკი ნიკოლოზ თუმანიშვილი, გენერალი აბელ მაყაშვილი და კორნეტი ა. თოფურიძე, რომელიც საგანგებო მინდობილობის მოხელეთ მსახურობდა ბაქოს „საგრაღონაჩალნიკოსთან“. პოლკოვნიკი თუმანოვი დახვრიტეს მაისის შუა რიცხვებში, როდესაც საბჭოთა აზერბაიჯანი საქართველოს ეომებოდა და ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი ალშიბაია ციხეში იჯდა, ხოლო გენერალ მაყაშვილს, კორნეტ თოფურიძესა და სხვებს, სულ 49 კაცს, ბაქოს „ჩრეზვიჩაიკა“-მ სიკვდილით დასჯა 12 ივნისს მიუსაჯა. 17 ივნისს, ღამით, იგი სისრულეში იქნა მოყვანილი გენერალ მაყაშვილისა და კორნეტ თოფურიძის მიმართ.

გენერალ მაყაშვილისა და კორნეტ თოფურიძის დახვრეტის შესახებ ხმები ქალაქში (ბაქოში) პირველად 20 ივნისს გავრცელდა. 21 ივნისს ექიმმა ალშიბაიამ ინახულა სახალხო კომისარი ჰუსეინოვი, რათა გაერკვია ამ „ხმების“ ჭეშმარიტება. მიიღო რა ცნობები ამ მძიმე ფაქტის სისწორის შესახებ, ალშიბაიამ გამოთქვა რაც შეიძლება ენერგიული პროტესტი საგარეო საქმეთა მინისტრ ჰუსეინოვის მიმართ და მას შემდეგი განუცხადა: „თუ დამტკიცდება, რომ მაყაშვილი დახვრეტილია 18 ივნისის შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც მე რწმუნებები მომცეს, მაშინ მე ვიხსნი ყველა რწმუნებებს და მივიღვარ თფილისში თქვენ არა გსურთ თქვენი დაპირებების და გარანტიების ასრულება, - ასეთ ატომსფეროში კი მე მუშაობა არ შემიძლია“- ო.

სახალხო კომისარმა ჰუსეინოვმა დაუყოვნებლივ გამოიწვია „ჩრეზვიჩაიკის“ თავმჯდომარე პანკრატოვი, რომელმაც წარმოადგინა გამოძიების მთელი მასალა... მაყაშვილისა და კორნეტ თოფურიძის მიმართ... მაყაშვილს დანაშაულად ეთვლებოდა აქტიური ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ მუსავათელების მთარობის დროს და აგრეთვე მონაწილეობა განჯაში მომხდარ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებაში; კორნეტ თოფურიძეს ბრალდებოდა „კონტრაზვეტკაში“ მუშაობა“.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ქარცივაძემ 26 ივნისს შემდეგი შინაარსის ღებუმა გაგზავნა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარისა და საქართველოს წარმომადგენლის ალშიბაიას სახელზე: „ჩვენს მიერ მიღებული ცნობების თანახმად აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობამ ბაქოში დაატუსაღა და სასამართლოს გადასცა გენერალი მაყაშვილი და სხვა პირები, რომელთა გვარები ჩვენ არ ვიცით, ვითომდა განჯის ამბების მოწყობაში მიღების გამო. ვაცხადებთ რა პროტესტს აზერბაიჯანის საბჭოთა მთავრობის ასეთი მოქმედების წინააღმდეგ, რაც არღვევს აღსტაფის ხელშეკრულების XVII მუხლს, რომელიც ორივე ქვეყნის მოქალაქეებს ანიჭებს სამშობლოში დაუბრკოლებლად დაბრუნების უფლებას, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სამსახურეობრივი მდგომარეობისა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ პირადად ვიცნობთ გენერალ მაყაშვილს და ჩვენი მხრივ ვეჭვობთ, რომ მას დანაშაულობა მიუძღოდეს იმ საქმეებში, რომელსაც მას აწერენ“.

ეს უკვე უკან მიდევნებულ ლამპარს გავდა. გენერალ ბალო მაყაშვილის სიცოცხლე ხელყოფილი იყო და გვამი კასპიის ზღვის ტალღებს მიბარებული... მაგრამ ადრე თუ გვიან „არრა არს საიდუმლო რომ არ გაცხადდეს“. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ბაქოში კომუნისტური გადატრიალების დროს არაერთ სულგაყიდულ ქართველსაც „უსახელებია“ თავისი სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის გულისათვის. მათ შორის ყოფილა საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი გრ. ალშიბაია, რომელსაც, ზოგიერთი ცნობით. იმთავითვე დაუმყარებია კავშირი ბოლშევიკებთან.

გენერალ ბალო მაყაშვილის პიროვნულ ღირსებებს და სამშობლოსადმი მის თავდადებას დიდი სითბოთი გადმოსცემს საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის მდივანი ქრისტინე შარაშიძე\*, მისი გარდაცვალებიდან 40 დღის

გასვლის გამო, რომელიც გაზ. „ერთობის“ 1920 წლის 25 ივლისის ნომერშია დასტამბული:

„შეუძლებელია წაიშალოს ხსოვნიდან ამ „სანგრების გენერლის“ მთლიანი, თავისებურებებით აღსავსე პიროვნება. ის პირველი გაცნობისთანავე იპყრობდა ყურადღებას ორიგინალური, ღონკიხოტიესული გარეგნობით და ცხოველი ენერგიის ნამეტნავობით, რაც ყოველ მის სწრაფ მოძრაობაში, სახის გამომეტყველებაში და საუბარში იხატებოდა.

უფრო დაახლოებით გაცნობა გამოამჟღავნებდა თქვენთვის გენერალ მაყაშვილის ძველებურ კეთილშობილებას და სიღარბაისლეს, რომელიც ჩვენს დროში მომნიბლავია, როგორც სამუდამოდ გამქრალი წარსულის საუცხოო ნაშთი. თუ თქვენ რამდენიმე ხანს დაჰყოფდით გენერალ მაყაშვილთან, დაუკვირდებოდით მის ურთიერთობას უმცროს თანამშრომლებთან, მისდამი რწმუნებულ მაზრის მაჰმადიან და ქრისტიან, ქართველსა და არაქართველ მცხოვრებლებთან, თქვენ აღმოაჩენდით გენერალ მაყაშვილის კიდევ ერთ საუკეთესო თვისებას – მან მშვენივრად იცოდა ვის როგორ მოჰყრობოდა, მას ჰქონდა იშვიათი ბუნებრივი ტაქტი. სწორედ ამ ტაქტით დააღწია მან თავი ბოლშევიკურ რუსეთს 1918 წლის დამდეგს. ის ეკუთვნოდა ადამიანთა იმ მცირედ ჯგუფს, ვისაც ღირსეულად უჭირავს თავი მუდამ და ყველასთან და ამით პატივისცემის გრძნობას იწვევს მტერ-მოყვარის მხრით.

ყოველი, რაც გენერალ მაყაშვილზე ვსთქვით, საინტერესოს ხდიდა მას, როგორც პიროვნებას, მაგრამ როგორი იყო ის, როგორც მოქალაქე და მხედარი?

ჯერ კიდევ ძველი რუსეთის ჯარის დაშლამდის მოიხვეჭა მან „სანგრის გენერლის“ („ОКОПНЫЙ ГЕНЕРАЛ“) სახელი თავის სიმამაცით და ჯარისკაცებთან დაახლოებით. არ ვიცი ესმოდა თუ არა მას განახლებული საქართველოს მიზანი და მისწრაფება, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მისი ძველებური პატრიოტიზმი ახალგაზრდული ენთუზიაზმით აჩქროლებდა ახალციხის დამცველთა გულს. ჩვენ ვიცით, რომ მისი პირადი სიმამაცის წყალობით შევინარჩუნეთ ჩვენ მესხეთის ნაწილი, როცა ბათუმი დაკარგეთ.

იმ მწარედ მოსაგონარ დროს ჩვენი დამწუხრებული სული სასიცოცხლო ძალას ჰპოვებდა ჩოლოქის ბრწყინვალე ბრძოლითა და ახალციხის სახელოვანი დაცვით. იმ დროს გაიცნო და შეიყვარა საქართველომ გენერალი მაყაშვილი. გენერალი მაყაშვილის სიფხიზლის მეოხებით მისდია კვალდაკვალ ოსმალოს ჯარებს ჩვენმა ჯარმა ახალციხე-ჯავახეთის საზღვრამდე, მოკავშირეთა გამარჯვების შემდგომ. გენერალი მაყაშვილის სარდლობითვე მოიპოვა ჩვენმა მხედრობამ გამარჯვება სომხებთან ბრძოლაში ახალქალაქის ფრონტზე.

გენერალმა მაყაშვილმა პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე – დაუზოგავად ამსახურა მას თავისი გამოცდილება და მამაცური ხმალი. და თუ ბრძოლის ველზე სიკვდილით არა – საგმირო საქმეებით ხომ მაინც მიანიჭა „სიცოცხლე და უკვდავება მშობელ ქვეყანას“.

გენერალ ბალო მაყაშვილის პიროვნულ პორტრეტს, ვფიქრობთ, უფრო მეტად დაამშვენებს კიდევ ერთი შტრიხი, რომლის თაობაზე იოსებ იმედაშვილი გვაუწყებს:

„იგი ნამდვილი მხედარი იყო, ქართველი მეომარი... მახსოვს, შარშან (ე. ი. 1919 წლის – გ. ს.) სურათი ვთხოვე, როგორც დამსახურებულ სარდალს, ჟურნალში მოსათავსებლად, როცა ის თბილისის მეციხოვნეთა უფროსი იყო.


- რათ გინდათ? – მკითხა.
- თქვენ დიდი ღვაწლი დასდეთ ჩვენს სამშობლოს ახალციხეში და...
- არა, ბატონო, მე შევასრულე სამშობლოს ჯარისკაცის მოვალეობა, ის მოვალეობა, რომელიც ყოველ ქართველს ევალება-ო, შემაწყვეტინა.“

### X X X

ასეთია მოკლედ გენერალ აბელ (ბალო) გაბრიელის ძე მაყაშვილის მიერ განვილილი ცხოვრების გზა, პიროვნებისა და მამულიშვილისა, გამოჩენილი სამხედრო მოღვაწისა, რომელიც „ერთი იმ იშვიათი მხედართმთავართაგანი იყო, რომელნიც სიცოცხლის წლებს სამშობლოს დიადობის სამსხვერპლოზე უნდა სწვავენ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მიზეზთა და მიზეზთა გამო იგი სამშობლოს განშორდა და დღენი თავისნი ავაზაკთა ხელით უცხოეთში დალია“, - (იოსებ იმედაშვილი).

სინანულით მიუთითებდა გენერლის ყოფილი ჯარისკაცი პეტრე ქვაროძინაშვილი. „გენერალ მაყაშვილს სამშობლოში და სამშობლოსათვის სიკვდილი არაფრად მიაჩნდა მით უფრო სამწუხაროა, ამ პატიოსანი და გმირი მეომრის თავისი ხალხის მოსიყვარულე გული მნთალ და ყველას და ყველაფრის მოძულე ავაზაკთაგან ასე... რომ იქნა განგმირული, შორს, სამშობლოს გარეთ“, -

ერის ისტორია ადრე თუ გვიან ყველას თავისას მიაგებს. მითუმეტეს, ღირსეულთ დასაკარგავად და დასავიწყედლად არასდროს იმეტებს. და აი, დადგა დრო, დავიწყების ფერფლწაყრილი მამულიშვილის გენერალ აბელ (ბალო) მაყაშვილის სახელიც და „საქმენი საგმირონიც“ ყველასათვის საცნაური განდეს.



† დროებით აღმასრულებელი საავიაციო გუნდის  
უფროსის თანამდებობისა კაპ. ნიკოლოზ აბელის-ძე  
მაყაშვილი.

## X X X

ამ დიდი პატრიოტის ტრაგიკული ცხოვრების ისტორიას კიდევ ერთი დათალხული ფურცელი უნდა მივუმატო...

იქნებ ღვთის ნება იყო და არა პირსისხლიანი მტრის მიერ გამოტანილი განაჩენი, ჭალარა გენერალი ისე წასულიყო ამ ქვეყნიდან, რომ არ შესწრებოდა იმ უდიდეს ტრაგედიას, რაც მისი დალუპვიდან ცოტა ხნის შემდეგ თავს დაატყდა მის ოჯახს. 1920 წლის 13 აგვისტოს, თბილისთან ახლოს სამხედრო თვითმფრინავით საწვრთნელი ვარჯიშის დროს დაიღუპა მისი უფროსი შვილი, ქართული სამხედრო საავიაციო გუნდის უფროსი, მაიორი ნიკოლოზ მაყაშვილი.

ამ საზარელმა ცნობამ გააოგნა ქართული საზოგადოება... რესპუბლიკის მთავრობამ შექმნა დამკრძალავი კომისია. დაკრძალვის ხარჯებისათვის გამოყოფილ იქნა 100 000 მანეთი.

პანაშვილებს, რომლებიც სამხედრო ტაძარში იმართებოდა, უამრავი ხალხი ესწრებოდა. გამოსვენების დღეს, 14 აგვისტოს, გამოსათხოვარი წირვა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ შეასრულა. პანაშვიდს ესწრებოდნენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი\*, სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმი ალექსანდრე ლომთათიძის მეთაურობით, რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე\*, გენერალი იოსებ გელევანიშვილი, საქართველოს მთავრობის წევრი აკაკი ჩხენკელი\* და სხვები.

ტაძრიდან ცხედარი გამოასვენეს: ევგენი გეგეჭკორმა, ალ. ლომთათიძემ, აკ. ჩხენკელმა და გ. კვინიტაძემ. პროცესია დიდუბისაკენ გაემართა. პროცესიაში მონაწილეობას ღებულობდა არტილერიის, ქვეითი ჯარისა და სახალხო გვარდიის ნაწილები. მაიორი ნიკოლოზ მაყაშვილი დაკრძალეს დიდუბის ეკლესიის გალავანში, ასევე უდროოდ დაღუპული ქართველი სამხედრო მფრინავების მალაშხიასა და გრიგალაშვილის გვერდით.

იმ დღეებში ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული რამდენიმე პუბლიკაციის გაცნობა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის სახელოვანი მამის ღირსეულ შვილზე, იმაზე, თუ რისი გაკეთება მოასწრო მან სამშობლოს საკეთილდღეოდ, რა როლს ასრულებდა იგი ახალგაზრდა ქართული შეიარაღებული ძალების, კერძოდ, მისი ნორჩი სამხედრო ავიაციის შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

„ამ ცოტა ხანში რამდენჯერ იყო საქართველო კრიტიკულ მდგომარეობაში, როცა მისი დამოუკიდებლობა ბეწვზე ეკიდა, მფრინავი მაყაშვილი საუკეთესო დარაჯი იყო სამშობლოს თავდაცვისა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის დამოუკიდებლობის დაცვაში, – არ ყოფილა არც ერთი ფრონტი საქართველოს წინააღმდეგ აღმართული, რომელშიც მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს: გაგრამში, ახალციხეში, სომხებთან თუ აზერბაიჯანთან ომებში... წერდა ოფიცერი სოსო ჩიტოშვილი...“



იქვე მოკლედ იყო გადმოცემული ნიკოლოზ მაყაშვილის მიერ განვლილი ხანმოკლე ცხოვრების გზა. მას თავისი ახალგაზრდობა რუსეთში გაუტარებია. საშუალო განათლება ციმბირის კადეტთა კორპუსში მიუღია, შემდეგ წარმატებით დაუმთავრებია პავლოვის სამხედრო სასწავლებელი და სამსახური პოლონეთში ქალაქ ალიტში მდგარ სამხედრო ნაწილის არტილერიაში დაუწყო. ქალაქ სევასტოპოლის ავიაციის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, როგორც საუკეთესო მფრინავი იქვე დაუტოვებიათ სწავლების ინსტრუქტორად; რამდენიმე თვის შემდეგ ნიკოლოზ მაყაშვილი ქ. სევასტოპოლის ავიაციის სამხედრო სკოლის უფროსად დაუნიშნავთ. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საქართველოში დაბრუნებული სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე დგას მამამისის, – გენერალი ბ. მაყაშვილი გვედით. 1918 წლის ნოემბერში ნიკოლოზ მაყაშვილს საქართველოს ავიაციის სამხედრო სკოლის უფროსად ნიშნავენ, ხოლო შემდეგ რესპუბლიკის ავიაციის ხელმძღვანელობას ანდობენ... 30 წლის ახალგაზრდისათვის ეს უდიდესი პატივი და მოვალეობა იყო. იგი მუდამ მაგალითს უჩვენებდა ხელქვეითებს მაღალი პროფესიონალიზმისას და მზად იყო სამშობლოს კეთილდღეობას შესწირვოდა... მოულოდნელმა აღსასრულმა მრავალი ჩანაფიქრის განხორციელებაში შეუშალა ხელი...

ნიკოლოზ ბალოს (აბელის) ძე მაყაშვილის ნეკროლოგში „ქ. შ.“ (ქარუმიძე შალვა) გულისტკივილით წერდა: „დამოუკიდებელ საქართველოს ჰყვანან ბრწყინვალე მოღვაწეები, რომელთა სახელებიც სიცოცხლეშივე შემოსილია დიდების ნათელი შარავანდელით. მთელი ერი იცნობს მათ, თვალს ადევნებს მათ საქმეებს, აფასებს თვალსაჩინო ნაყოფს მათი მოქმედებისას, მაგრამ განუზომელია სტიქია შემოქმედებისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღიდან ამოდრავდა და მრავალი უჩინარი მჭედელი ჭედავს ჩვენი თავისუფლების შეუდრეკელ ჯავშანს. ამ მრავალთა შორის რჩეული იყო მაიორი ნ. მაყაშვილი, საქართველოს ნორჩი ავიაციის ნათელი სული.“

თბილისზე კარგა მოშორებით, სადგურ ნავთლულის იქით გაშლილ მინდორზე, სადაც ამ ორი წლის წინეთ ერთ-ორ შენობას ძლივს მოჰკრავდით თვალს, ამჟამად მთელი პატარა ქალაქია გაშენებული: ელექტრონის დიდი სადგურით, სახელოსნოებით, სადგომებით, ოფიცრებისა და ჯარისკაცების ფარდულებით, საცა აეროპლანები ინახება. ვინც დაივლის ამ შენობებს, ვინც დააკვირდება იმ მუშაობას, დაულაღავი მუშა-ფუტკარივით რომ აწარმოებენ ამ პატარა ქალაქის მცხოვრებნი, ის იგრძნობს, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანოები იზრდება და მტკიცდება და ჩვენს ნათელ მომავალს მტკიცე საფუძველი ეყრება.

ამას გრძნობდნენ ყველანი, ვინც თავი მოიყარა აგვისტოს 2-ს საავიაციო დღესასწაულზე, აეროდრომზე... მუსიკის ხმა გაისმის. აეროპლანები, ეს უზარმაზარი ფრინველები, ჯერ უხერხულად მოგოგავენ დედამიწაზე და ერთხანს უქმედ მიათრევენ თავიანთ გაშლილ ფრთებს, მაგრამ სცილდებიან თუ არა დედამიწას მსუბუქად და მარდად სჭრიან ცის სივრცეს...

ერთი ყველაზე მაღლა აფრინდა... თავბრუდამხვევი სისწრაფით ციბრუტივით ტრიალებს... ხალხი აღტაცებული ტაშით ავიღლოვებს დახელოვნებულ მფრინავს. მთელი ყურადღება მისკენ არის მიპყრობილი. ახალგაზრდა მაიორის სახელს აღტაცებით იმეორებენ. თქვენ ხედავთ, რომ ახალგაზრდა მაიორი არა-ახალგაზრდულად დინჯია... ის არ არის მხოლოდ მფრინავი-ვირტუოზი, ის არის ნიჭიერი ორგანიზატორი, დაუშრეტელი ენერგიით აღსავსე და თან ჩუმი მუშაკი, იშვიათი ინსტრუქტორი... ის არ ამაცობს, თავს არ იწონებს... თქვენ კი ამაცობთ, რომ საქართველოს ასეთი შვილები ჰყავს...

აგვისტოს 11-ს, საღამოს 7 საათზე, მაიორი მაცაშვილი ვარჯიშის დროს მიწას დაენარცხა და დაიღუპა. ჩვენ არა ვართ ისეთი მდიდარი სასიქადულო ადამიანებით, რომ უღრმესი გულისტკივილი არ გვაგრძნობინოს ამ უბედურებამ.

ჩვენს ნორჩ ავიაციას წაერთო მისი ნათელი სული. ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას დააკლდა კიდევ ერთი უერთგულესი დარაჯი. ღირსეულად მოკვდა ღირსეული მამის შვილი და წარუშლელი ნათელი ხსოვნა დაგვიტოვა ჩვენ და მომავალ თაობას“.

მფრინავ ნ. ბ. მაცაშვილის დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე ნიკო კეცხოველი\* გაზეთ „საქართველოში“ აქვეყნებს პატარა ეტიუდს (ნოველას) სათაურით „მფრინავი“, მასში დიდი სიყვარულია გაცხადებული იმუამად საქართველოს სინამდვილისათვის ისეთი იშვიათი პროფესიის ადამიანების მიმართ, როგორც ავიატორები იყვნენ:

„მფრინავს მარხავენ!!

მფრინავი დაიღუპა!!

შავად, რა მგლოვიარედ მერამდენჯერ ისმის ქართველ ხალხში ეს საბედისწერო სიტყვები.

გული სისხლით ივსება და თვალი გულწრფელ მწუხარებით, როდესაც ახალგაზრდას კუბოში ყვავილებით შემკულს უძნერ.

ამოხვრის მეტი ვერა გიწამებია რა, როცა მკრთალ სახეზე ჩალურჯებულ ზოლსა ჰხედავ და ჰგრძნობ ლურჯ ტანისამოს ქვეშ მომტკრეული მკლავი და ფეხია...

ალარ გინდა დაინახო, თვალს არიდებ იმათაც, ვის გულზეც არწივის ფრთებია გაშლილი, ვინც ამყად და გაბედულად, მაგრამ იქნებ დარდიმანდულადაც კი, დაღუპულ ამხანაგებს უკანასკნელ გამოსათხოვარ სიტყვას ეუბნება: დღეს შენ და ხვალ ჩვენ!! და გინდა განუსაზღვრელ სიყვარულით შეიყვარო ეს ხალხი, რომელიც საქმისა და სამშობლოს სიყვარულისთვის ჰგრძნობენ ამას, და მაინც თავხედურ სითამამით, პირზე ღიმილით, მიწას მოსწყდება და სიკვდილთან ერთად ლაჟვარდისაკენ მიჰქრის. ჩვეულებრივი მოქალაქე ამ დროს მარტო საგანსა ჰხედავს, რომელიც ცის სივრცეში დაჰქრის, დასცურავს, მას ართობს ეს საკვირველება, მოსწონს.

ესთეტი სილამაზესა ჰხედავს...

სპორტსმენი უმაღლეს ვარჯიშს...

და ასე, ყველა პროფესიისა თავის საგანს.

თვითონ მფრინავს კი რამდენი ენერგია ეხარჯება, რა ნებისყოფის გამოჩენაა საჭირო და უდიდესი შესისხლხორცება უსულო საგანთან, ამის შესახებ არავინ ჰფიქრობს, არავინ იტყვის რამეს..., მთელი კვირაობით საერთო ცხოვრებას მოწყვეტილი ჩაჰკირკიტებს, რომ მეტი ენერგია შეახარჯოს, უფრო მეტად შეისუსტოს ნერვები... და არ არის საქართველოში პროფესია, რომელიც ამაზე მეტს ფიზიკურ და გონებრივ ენერგიას მოითხოვდეს... და ქართველმა ხალხმაც უთუოდ ღირსეულად უნდა დააფასოს იგინი.

უთუოდ ყველაზე ძვირფასად უნდა გაუფრთხილდეს და შეიყვაროს და აიძულოს თავის ნების გამომხატველი მთავრობა, რათა მათი შრომა მეტად ფასობდეს, ვიდრე სხვა რომელიმე ხელობა.

არ შეიძლება ის ხალხი, რომელთა სიცოცხლე მარადჟამს განსაცდელის წინაშე დგას, დავაყენოთ იმის თანაბრად, ვინც კალმით ხელში მაგიდას უზის, ან ძირს მიწაზე, ეტლით დასეირნობს.

... მე როგორც ქართველი ხალხის ერთმა წევრთაგანმა, მსურს დავიჯერო, რომ ჩვენი მთავრობის ნაბიჯი უეჭველად აქეთკენ იქნება გადადგმული და აღარ ვიტყვით ამ ცოტა ხანში სხვებთან ერთად მწუხარედ და გულისტკივილით:

„მფრინავსა ჰმარხავენ!“

მეტად ძვირფასი ხალხია ისინი ჩვენთვის და ეს სიტყვები სრულებით თუ არა, მეტად იშვიათად უნდა იხმარებოდეს“.

უდიდესი გულისტკივილითა და შთამბეჭდაობით გამოირჩეოდა ახალგაზრდა პოეტის სიკო ფაშალიშვილის\* წერილი ნიკოლოზ მაყაშვილისადმი მიძღვნილი რომელიც დღევანდელ მკითხველსაც მინდა გავაცნო:

„ბედისწერა ჩააცივდა მაყაშვილებს. სიკვდილი შეეჩვია მათ საგვარეულოს და ჩვენი არმიის მწყობრიდან რიგრიგობით გამოჰყავს მტკიცე ნების გმირები, მამულისათვის თავდადებული რაინდები, ერისთვის საამაყო შვილები – მაყაშვილები.

გაზაფხულზე დედა ქალაქში თავხეხელაღებული ბოლშევიკები ავაზაკურად თავს დაესხნენ მძინარე სამხედრო სკოლას – პირველი ტყვია იუნკერ მაყაშვილს მოხვდა. იგი გმირულად მოკვდა. მისში ფოილოს ფრონტზე ომი დაგვიწყეს. პირველი შეტაკების დროს პირველ რიგში პირველად დაეცა ახალგაზრდა მხედარი მაყაშვილი, ძმა იუნკერ მაყაშვილისა.

ომი ჩვენის გამრჯვებით დამთავრდა ცოფ-მორეულმა ბოლშევიკებმა ბაქოში მყოფ ქართველ მხედრებზე იყარეს გულის ბოხარი – უდანაშაულოდ დახვრიტეს საყვარელი გენერალი ბალო მაყაშვილი, ბიძა დალუპულ მაყაშვილებისა.

მათ ოჯახში თალხი და ცრემლი დაბინავდა. ჩვენს გულში კი ტკივილი მათის დანაკლისით გამოწვეული.

ავგისტოს 11-ს ტფილისის ჰაეროდრომზე საშინელი დალუპვით დაიღუპა ძვირფასი ავიატორი, რესპუბლიკის ავიაციის უფროსი, მაიორი ნიკოლოზ მაყაშვილი – შვილი ბაქოში დახვრეტილ გენერალ ბალო მაყაშვილისა. ეს ჰაერის ჟონგლიორი, პეგუს „მკვდარიპეტლებით“ თვალს რომ გვჭრიდა და ღრუბლების ფუტბოლს თამაშობდა შევარდენივით.

ნიკოლოზ მაყაშვილი ახალგაზრდა იყო სიცოცხლითა და ენერგიით აღსავსე, საქართველოს სიყვარულით დამთვრალი, შეუდარებელი მფრინავი, ჩვენი ავიაციის ბურჯი და თვალი. სიტყვაც კი არ არის, რომ კალამმა გულისტკივილი გამოიტანოს სტრიქონებში. მწუხარებით კი ვწუხვარ, სწუხს ყველა – ნაცნობი და მეგობარი, სწუხს ყველა ვისაც ხელში იარაღი აუღია საქართველოს დასაცავად, ვისაც უნახავს ან გაუგონია მაყაშვილის რაინდობა, ვისაც უგვრძნია მათი დანაკლისის სიმძიმე – ერისა და მხედრობისათვის.

ახალციხის ფრონტზე გავიცანი ის. მტრის ცეცხლის რკალი გვერტყა გარს, გასაჭირი კარს გვიკაკუნებდა, თოვლიან სივრცეს ჰსერავდა ზარბაზნების ცეცხლი, გზები გადაჭრილი გვექონდა და სასოწარკვეთილება ღრუბელივით შემოდინოდა სულში.

ახალციხის მახლობლად პროპელერის ღმუილი გავიგონეთ. ჩვენი ჰაეროპლანები მოფრინავდნენ.

მაყაშვილიაო – გვითხრეს.

გაგვიხარდა. ვიცოდით, გაგვეგონა მისი რაინდული სახელი, იმედი მოგვეცა და მორალური სიმტკიცე დაეშვა ჩვენში მის ჰაეროპლანთან ერთად. მეორე დღეს შევხვდი მას... გაგვაცნეს, ისეთი ცეცხლოვანი თვალები ჰქონდა, ისე გატაცებით ლაპარაკობდა იმდენი რწმენა ჰქონდა სიტყვაში, მიმოხვრაში, ცქერაში, რომ მოგვხიბლა, თავი მოგვაწონა, თავი შეგვაყვარა, ერთ საღამოს.

თითქმის ყველა ფრონტზე მომიხდა ყოფნა, ყველგან ვხვდებოდით მაყაშვილს – არწივსავით მონაფრენს, მაყაშვილის გამანადგურებელს, როცა იგი დინამიტის საჩუქრებს უგზავნიდა მტერს ღრუბლებიდან. ყველგან სახელიანი იყო და საყვარელი, პატიოსანი, დინჯი და იმედიანი, ყველგან ნახა გასაჭირი – ყველგან თავი ისახელა და პატივისცემა მოიხვეჭა.

ასეთი იყო საზოგადოთ, მაგრამ სულ სხვა იყო აქ, ჩვენს საავიაციო ბანაკში – მას ენდობოდნენ, ის უყვარდათ, მასზე ამყარებდნენ იმედს. ის სულის ჩამდგმელი იყო ჩვენი ეროვნული ავიაციისა.

მაგრამ...

ბელისწერა დაუნდობელი ავაზაკივით შეიჭრა მათს გვარში. და მისი ძვირფასი სახელიც შეიტანა შავს წიგნში. სიკვდილმა თავის განაჩენი სისრულეში მოიყვანა აგვისტოს 11-ს, ამ დღეს სავარჯიშოდ აფრენილი მაყაშვილი დაეცა და დაიღუპა. ის მოკვდა ლამაზი სიკვდილით და ლამაზი სევდიანი ხსოვნა დატოვა ჩვენში – ხსოვნა მუდმივი, ნათელი და დაუვიწყარი. ის არ დაგვავიწყდება, მაგრამ გული გვეტკინა, გული.“

ჩვენ გვჯერა, რომ პოეტისა და ჟურნალისტის, – სიკო ფაშალიშვილის გულში მთელი მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე არ ჩაქრებოდა სახელოვანი მამულიშვილის ხსოვნა, მაგრამ დაუნდობელი კომუნისტური რეჟიმი ერისათვის თავდადებულთა საჯაროდ გახსენების უფლებას ვის დაანებებდა... კიდევ კარგი, ჩეკას მძებრებმა ვერ მიაგნეს ამ წერილს, თორემ არც მის დამწერს დაინდობდნენ...

თითქმის ცხრა ათეული წლის წინათ ჟურნალი „მხედარი“\* წერდა: „მამა და შვილი მაყაშვილები, სამშობლოს საყვარელი მსხვერპლნი, სიმბოლოა ჩვენი

მომავალი ბედნიერებისა... მათი უმანკო სისხლი და დიადი სული მისაბამ  
მაგალითად იქნება ყველა ქართველი მხედრისათვის“.

დიახ, ასეთ გმირთა მაგალითებზე უნდა იზრდებოდეს მომავალი თაობები!

## განმარტებითი ლექსიკონი \*

**აბაშიძე მემედ-ბეგი** – ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით და სხვა ქართველ მუსლიმან თანამოაზრეებთან ერთად 1919 წლის აგვისტოში აჭარაში გამართულმა რეფერენდუმმა განაპირობა აჭარის დედა სამშობლოსთან ჩამოუცილებლობა... რეპრესირებულ იქნა საბჭოთა რეჟიმის დროს.

**აბაშიძე ჰაიდარ-ბეგი** – ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი. ილაშქრებდა პანთურქიზმისა და პანისლამიზმის წინააღმდეგ. იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ აქტიური წევრი. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში მმართველი პარტიის (მენშევიკების) პოზიციას ემხრობოდა. გარდაიცვალა თბილისში 1966 წელს 73 წლის ასაკში.

**ათა-თურქი მუსტაფა ქემალ** – თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი და მისი პირველი პრეზიდენტი. თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დამაარსებელი და მისი ლიდერი. 1934 წლამდე იგი ცნობილი იყო მუსტაფა ქემალ ფაშას სახელით. 1934 წელს მას დიდმა ეროვნულმა კრებამ ათა-თურქის („თურქთა მამა“) გვარი მიანიჭა. ბოლშევიკ ლენინისა და ქემალ ფაშას კეთილმეგობრულ ურთიერთობებს უდიდესი ზიანი მოჰყვა საქართველოსათვის. სხვა რომ არაფერი ყარსის, არდაგანის და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიების დაკარგვაც საკმარისია გავიხსენოთ.

**ამიერ-კავკასიის კომისარიატი** – შეიქმნა თბილისში 1917 წლის 15 (28 ახალი სტილით) ნოემბერს, იარსება 1918 წლის 15 თებერვლამდე. მასში შედიოდნენ სხვადასხვა პარტიის (მენშევიკები, მუსავათელები, დაშნაკები, კადეტები, სოც.-ფედერალისტები და სხვ.). წარმომადგენლები (ა/კ კომისარიატის თავმჯდომარე იყო ქართველი სოც.-დემოკრატების (მენშევიკების) ერთ-ერთი ლიდერი ევგენი გეგეჭკორი).

**ამიერ-კავკასიის სეიმი** – შეიქმნა თბილისში 1918 წლის 10 (23) თებერვალს, იარსება იმავე წლის 26 მაისამდე. ხელისუფლების ორგანო ა/კავკასიაში. მისი მთავარი დანიშნულება იყო იურიდიულად გაეფორმებინა ა/კავკასიის გამოყოფა საბჭოთა რუსეთისაგან. მან შექმნა („ა/კავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა“, რომლის მთავრობის მეთაური იყო ქართველი სოც.-დემოკრატების (მენშევიკების) ერთ-ერთი ლიდერი აკაკი ჩხენკელი).

**ბრესტის ზავი** – სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ერთი მხრივ რუსეთსა და მეორეს მხრივ გერმანიასა და მის მოკავშირეებს შორის 1918 წლის 3 მარტს, ბრესტ-ლიტოვსკში... საზავო პირობებით ოსმალეთის ხელში გადადიოდა არდაგანისა და ყარსის ოლქები და ქ. ბათუმი. ა/კავკასიის, მათ შორის, საქართველოს წარმომადგენლები ამ მოლაპარაკებას არ დასწრებიან... 1918 წლის 13 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გააუქმა ბრესტის ზავი. ბრესტის ზავს უმძიმესი შედეგები მოჰყვა დამოუკიდებელი საქართველოსათვის.

**გაზეთი „ერთობა“** – ყოველდღიური ქართული გაზეთი, ჯერ იყო ა/კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების, ხოლო შემდეგ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ცენტრალური ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1918-1921 წლებში.

**გაზეთი „კავკაზ“** – ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1846-1917 წლებში, რუსულ ენაზე. ჯერ იგი კერძო გამოცემა იყო, ხოლო 1850 წლიდან კი კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია გამოსცემდა. გარდა ოფიციალური ცნობებისა, მასში უამრავი საინტერესო მასალაა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, კულტურის, ლიტერატურისა და ა. შ. საკითხებზე.

**გაზეთი „კალმასობა“** – პერიოდული გამოცემა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო. გამოდის 1997 წლიდან.

**გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“** – ყოველდღიური ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გამოცემა. გამოდიოდა ბათუმში 1919-121 წლებში, მემედ-ბეგ აბაშიძის რედაქტორობით. იყო „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ორგანო.

**გაზეთი „საქართველო“** – ყოველდღიური ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი, ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთ. კომიტეტის ორგანო, გამოდიოდა თბილისში 1915-1921 წლებში. მას ჰქონდა სურათებიანი დამატება. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ: სანდრო შანშიაშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, გერონტი ქიქოძე, სპირიდონ კელია.

**გაზეთი „სახალხო საქმე“** – ყოველდღიური გაზეთი. საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის მთ. კომიტეტის ორგანო. გამოდიოდა თბილისში 1917-1921 წლებში. რედ.-გამომცემელი იყო მთ. კომიტეტის რწმუნებული სამსონ ფირცხალავა.



**გეგეჭკორი ვეგენი** – ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ერთ-ერთი ლიდერი; ა/კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე; დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი; 1921 წლიდან მთავრობის სხვა წევრებთან ერთად იმყოფებოდა ემიგრაციაში. გარდაიცვალა პარიზში, დასაფლავებულია ლევილში.

**გიორგაძე გრიგოლ** – ცნობილი სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი), საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე. პუბლიცისტი. იყო დემოკრატიული საქართველოს სამხედრო მინისტრი.

**ვალი** – ოლქის, ვილაიეთის ადმინისტრაციული მმართველი, ბეგლარ-ბეგი ოსმალეთში.

**ვლადიმირის IV ხარისხის ორდენი** – წარჩინების ნიშანი. იგი დაწესებულ იქნა XII ს-დან. რუსეთში ორდენები პირველად პეტრე I-მა შემოიღო. ეს იყო წმ. მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ორდენი (1698 წ.)... სამხედროთა დასაჯილდოებლად შემდგომში დაწესებულ იქნა წმ. ალექსანდრე ნეველის, წმ. გიორგის და ბევრი სხვა ორდენი. მათ შორის ერთ-ერთი იყო წმ. ვლადიმირის ორდენი I, II, III და IV.

**იმედაშვილი იოსებ (არიმათიელი)** – ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ დამაარსებელი და რედაქტორი (1910-1927 წწ.).

**კეცხოველი ნიკო** – აკადემიკოსი, ბოტანიკოსი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე, თსუ-ს ერთ-ერთი გამორჩეული და დიდად პოპულარული რექტორი. ახალგაზრდობის წლებში იყო ქართული ჯარის ჯარისკაცი. თანამშრომლობდა პრესაში.

**კვინიტაძე გიორგი** – გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე. წმ. გიორგის ჯვრის კავალერი რუსეთის არმიაში. გენერალი. დამოუკიდებელი საქართველოს ჯარების მთავარსარდალი. მამაცი და გამჭრიახი პიროვნება. მისთვის მიუღებელი იყო ყოველგვარ დათმობაზე წასვლა, თუ საქმე სამშობლოს ბედს ეხებოდა. 1921 წელს ისიც იძულებული იყო ემიგრაციაში წასულიყო. 95 წელს მიღწეული გ. კვინიტაძე გარდაცვალა პარიზში... მომავლის საქართველოს დაუტოვა შესანიშნავი მოგონებების ორტომეული.

**მაზნიაშვილი გიორგი** – ცნობილი სამხედრო მოღვაწე. რუსეთის არმიის გენერალი. დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ძალების ერთ-ერთი აქტიური მშენებელი. შეუდრეკელი მხედართუფროსი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში. ემიგრაციაში მყოფმა ვერ გაძლო

სამშობლოს გარეშე, დაბრუნდა უკან და რეპრესირებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. შესანიშნავი „მოგონებების“ ავტორი.

**მალაკელიძე შალვა** – ქართველი მოღვაწე. 1917-1918 წლებში იყო რუსეთის დროებითი მთავრობის რწმუნებული მესხეთ-ჯავახეთში; დამოუკიდებელი საქართველოს წლებში ეკავა თბილისის გუბერნატორის, სახელმწიფო კონტროლიორის და სხვა პასუხსაგები თანამდებობები. ემიგრაციაში ყოფნის დროს გახდა ვერმანხტის გენერალი. ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქართველ ტყვეთა შორის... სამშობლოში დაბრუნების შემდეგ (იძულებით) საადვოკატო საქმიანობით იყო დაკავებული. დაგვიტოვა ძალზე საინტერესო მოგონებათა წიგნი. გარდაიცვალა თბილისში.

**მაყაშვილი კოტე** – ქართველი პოეტი. მაყაშვილთა საგვარეულოს ღირსეული წარმომადგენელი. საქართველოს მწერალთა კავშირის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პირველი თავმჯდომარე 1917-1927 წლებში. რეპრესირებულ იქნა საბჭოთა რეჟიმის მიერ.

**ოზაკომი, ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი** – ოზაკომი (ОСОБНЫЙ Закавказский КОМИТЕТ) რუსეთის დროებითი მთავრობის ორგანო ა/კავკასიაში. შეიქმნა 1917 წლის 9 (22) მარტს თბილისში. მისი თავმჯდომარე იყო კადეტი ბ. ხარლამოვი, წევრები საქართველოდან იყვნენ: კიტა აბაშიძე და აკაკი ჩხენკელი. დაიშალა 1917 წლის 15 (28) ნოემბერს და თავის რწმუნებანი ა/კავკასიის კომისარიატს გადასცა.

**ჟორდანიას ნოე** – სოც.-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, „მესამე დასის“ დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი, მწერალი და პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. მთავრობასთან ერთად ემიგრაციაში იმყოფებოდა 1921 წლის მარტიდან. გარდაიცვალ პარიზში, 1953 წელს. დაკრძალულია ლევილის სასაფლაოზე.

**ჟურნ. „განთიადი“** – საქართველოს მწერალთა კავშირისა და ქუთაისის განყოფილების ორგანო. გამოდის 1975 წლიდან ქუთაისში. რედაქტორები იყვნენ: გურამ ფანჯიკიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვ.

**ჟურნ. „მხედარი“** – საქართველოს სამხედრო სამინისტროს ყოველთვიური სურათებიანი გამოცემა. გამოდიოდა თბილისში 1920 წელს. რედაქტორი იყო ნიკო კურდღელაშვილი.

**რევოლუციური კომიტეტი** – რევკომი იყო საბჭოთა ხელისუფლების დროებითი საგანგებო ორგანოები, რომლებიც შემოღებულ იქნა სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის პირობებში. ისინი აერთიანებდნენ მთელ სამხედრო და

სამოქალაქო ხელისუფლებას, მოქმედებდნენ თვითნებურად, ვითომდა რევოლუციის სახელით. აზერბაიჯანში იგი მოქმედებდა 1920 წლის აპრილიდან – 1921 წლის მაისამდე, საქართველოში 1921 წლის თებერვლიდან 1922 წლის მარტამდე, სომხეთში 1920 წლის ნოემბრიდან 1921 წლის მაისამდე და ა. შ.

**საქართველოს დამფუძნებელი კრება** – საკანონმდებლო დაწესებულება, რომელიც არჩეული იქნა 1919 წელს 14-17 თებერვალს. 130 დეპუტატიდან – 109 იყო სოც.-დემოკრატი (მენშევიკი) 8 –სოც.-დემოკრატი, 8 – ეროვნულ დემოკრატი, 5 – ესერი. საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული სოც.-დემოკრატიული პარტიის (მენშევიკების) გამორჩენილი მოღვაწე კარლო ჩხეიძე. 1921 წლის 25 თებერვალს ბოლშევიკური ანექსიის შემდეგ მან არსებობა შეწყვიტა.

**სერვერ-ბეგ ათაბაგი – ქობლიანსკი** – ქართული წარმოშობის თურქი მოღვაწე. მამამისი ფეიზულა (ჯაყელთა საგვარეულოს წარმომადგენელი) ახალციხის ფაშა იყო, რომლის გადმობირება რუსებმა შეძლეს და „პრინცი ქობლიანსკის“ ტიტული უბოძეს. სერვერ-ბეგს კარგი საუნივერსიტეტო განათლება ჰქონდა მიღებული (აგრონომიული – გერმანიაში, იურიდიული – პეტერბურგში). ფლობდა რამდენიმე უცხო ენას... მოგვიანებით დაიღუპა ავტო-ავარიაში, ტრაპიზონთან ახლოს.

**ფაშალიშვილი სიკო** – პოეტი და პუბლიცისტი. დამოუკიდებლობის წლებში თანამშრომლობდა არა-ერთ პერიოდულ ორგანოში, უპირატესად ქართული ჯარისა და გვარდიის საბრძოლო დამსახურებებზე ესაუბრებოდა იმდროინდელ ქართველ მკითხველ საზოგადოებას.

**შარაშიძე ქრისტინე** – საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი, წყაროთმცოდნე. არჩეული იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად, იყო მისი პრეზიდიუმის მდივანი.

**ჩხენკელი აკაკი** – ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე; რუსეთის IV მოწვევის სათათბიროს წევრი; „ოზაკომის“ წევრი, აკაკასიის სეიმის თავმჯდომარე, საქართველოს ელჩი საფრანგეთში. 1921 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ემიგრაციაში დარჩა. გარდაიცვალა პარიზში, დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

**ხალილ-ბეი** – თურქეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი, რომელიც საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა ამერკაკასიის, მათ შორის, საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგადაც. მონაწილეობდა დიპლომატიურ შეხვედრებში.

## გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსსა), ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 4, ფურც. 19.
- გელა საითიძე, გენერალი აბელ (ბალო) მაცაშვილი და მესხეთ-ჯავახეთის საკითხი. ქართული დიპლომატია. წელიწდეული №6, თბ., 1999, გვ. 306-324.
- გელა საითიძე, გენერალი აბელ (ბალო) მაცაშვილი - „ახალციხის გმირი“, გაზ. „ლიტერატურული მესხეთი“, №1, 2, 3, იანვარი, თებერვალი, მარტი, 2005 წ.
- ლევან დოლიძე, გენერლები საქართველოდან, თბ., 2003, გვ. 70-71.
- გიორგი მაზნიაშვილი, მოგონებანი, ტფ., 1927, გვ. 132, 133, 135.
- შალვა მალლაკელიძე, მოგონებები, ჟურნ. „განთიადი“, №1, 1991, გვ. 26; გვ. 30; №2, 1991, გვ. 32.
- გიორგი კვინიტაძე, მოგონებები, ტ. 1, თბ., 1998; ტ. 2, თბ., 1999.
- გაზ. „ერთობა“, 1919, №199, 1920, 30 ივნისი, №150, №152.
- Газ. «Кавказ», №159, 15 июля, 1915 года.
- ჟურნ. „მხედარი“, 1920, №8, გვ. 7; №12, გვ. 15-16.
- ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ №1, 2, 24, 25 1920 წელი.
- გაზ. საქართველო“, 1918 წლის №214, 233, 234, 236, 237, 238, 243, 245; 1919 წლის № 48, 72, 92.
- გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წლის №282, 384; 1919 წლის № 424, 429, 439, 462, 482, 483, 492; 1920 წლის № 863, 865, 900, 901, 903.